საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფაფიოლებით და ჯოხებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 10 ნოემბერი. 2016 წ. №210 (8102), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

დონალდ ტრამპი 45-ე პრეზიდენტია!

ახლა მთავარია, რა დონეზე იმუშავებს ჩვენი ხელისუფლება ახალ პრეზიდენტთან ერთად

ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტად არჩეული, 70 წლის დონალდ ტრამპი მსხვილი ბიზნესმენია. ის სამშენებლო კომპანიის Trump Organizaton-ის პრეზიდენტი და სათამაშო და სასტუმრო ბიზნესით დაკავებული კომპანიის Trump Entertainment Resorts-ის დამფუძნებელია.

* * *

ქართველი და ამერიკელი ექსპერტებისა და ანალიტიკოსების აზრით ამერიკა-საქართველოს პოლიტიკურ თანაცხოვრებაში, რასაკვირველია, გარკვეული ცვლილებები მოხდება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იქნება ცვლილებები უკეთესობისკენ. ამერიკის 45-ე პრეზიდენტი, მართალია, ექსტრავაგანტურია, მაგრამ თავისი ბუნებით ხალისიანი ადამიანია, რაც საქართველოში სტუმრობისასაც დაამტკიცა. როგორც ამბობენ, ტრამპი არც კომფლიქტურია და არც სხვათა საქველმოქმედოდ მილიარდიან ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ ეზარება. რაც მთავარია, ხალხებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრეა. არ მოსწონს რუსებისა და დასავლეთის დაპირისპირება. პუტინს ამერიკის ხალხის მტრად არ მიიჩნევს, რასაც, ლოგიკის თანახმად, ამჟამინდელი ცივი ომის ერთგვარი დათბობა უნდა მოჰყვეს.

საქართველოში სტუმრობისას მან ბევრი თბილი სიტყვა თქვა საქართველოზე, ქართველ ხალხზე. იმედია, ეს არ იყო მარტო კეთილი სტუმარ-მასპინძლობის გამომხატველი ეტიკეტი.

ახლა ჯერი ჩვენს ქართულ დიპლომატიაზეა. ბევრია დამოკიდებული ჩვენს ახალ ახალგაზრდა ელჩზე, დავით ბაქრაძეზე, რომლის დანიშვნაც სიმბოლურად ტრამპის პრეზიდენტად არჩევას დაემთხვა.

როგორც ახალი პრეზიდენტის არჩევის გამო საქართველოში ამერიკის ელჩის იან კელის საზეიმო მიღებამ გვიჩვენა, მმართველი პარტიის წარმომადგენელთა ნაცვლად ელჩის გვერდით 9 ნოემბრის მთელი ღამე ნაციონალები ტრიალებდნენ, ისინი აანალიზებდნენ მდგომარეობას და, თქვენ წარმოიდგინეთ, მომავლის პერსპექტივებსაც ისინი სახავდნენ.

კი, ბატონო, ოპოზიციას თავისი ადგილი აქვს ჩვენს საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ნაციონალების აშკარად სადავეების ხელში აღების თავხედურ პოლიტიკას აქედანვე დროული დამუხრუჭება სჭირდება ხელისუფლების მხრიდან.

ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა თეთრ სახლში შესვლის პირველი დღეებიდანვე უნდა იცოდეს, რომ საქართველოში მმართველი პარტიაა „ქართული ოცნება“, რომელმაც კონსტიტუციური უმრავლესობით გაიმარჯვა 2016 წლის არჩევნებში და ქვეყანაზე სწორედ ეს გამარჯვებული პარტია აგებს პასუხს.

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ჩვენი ხელისუფლება მაღალ პოლიტიკურ დონეზე განავითარებს ქართულ-ამერიკულ დღემდე არსებულ ურთიერთობებს.

გვჯერა, რომ პრეზიდენტი ტრამპი ამ თვალსაზრისით წინა პრეზიდენტებზე ბევრად უკეთესად შეუწყობს ხელს ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებას.

დანარჩენს დრო და ამ დროში ჩვენი ხელისუფლების მუშაობის ხარისხი გვიჩვენებს.

გურამ წიკლაური

„კოზირი“ და სოლო-კრატიული საქართველო

2

სნავლა მოსნავლეთა...

გუშინ ვაკეში ბურთი გაგორდა, თქვენი მოწონებული. სამწუხაროდ, ახალგაზრდა „ჯვაროსნები“ თანატოლთა შორის ვერაფრით გამოირჩნენ. უფრო სწორად, პირიქით — 19 წლამდელთა პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის სასტარტო შეხვედრების შემდეგ გიორგი ყიფიანის გუნდი უკანასკნელ ადგილზეა.

მოგეხსენებათ, გაისად საქართველოს დედაქალაქი აღნიშნულ ასაკში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდს უმასპინძლებს, ამიტომ მიხეილ მესხის სტადიონზე დაწყებულ ასპარეზობას, მის მონაწილეთა რანგის გათვალისწინებით, გენერალური რეპეტიცია შეგვიძლია ვუწოდოთ.

ჰოლანდია — საფრანგეთი — 1:1 (1:0)

შესვენებამდე „ნარინჯისფრები“ დომინირებდნენ, ამიტომ სავსებით ლოგიკურად გამოიყურებოდა მათი დაწინაურება სიერჰუისის ზუსტი თავურით.

მეორე ტაიმში ჟან-კლოდ ჟიუნტენის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს „სამფეროვანთა“ გააქტიურება და მატჩის მსვლელობაში შეტანილი რადიკალური მეტამორფოზა მოჰყვა, რაც საპასუხო გოლით დაგვირგვინდა.

ლეგენდარული ზინედინ ზიდანის ვაჟი, მეკარე ლუკა ზიდანი მაღალი სიცხის გამო პარტნიორებს ვერ ეხმარებოდა, სახელოვანი გოლეადორის პატრიკ კლუივერტის ძე ჯასტინი კი მინდორზე 70-ე წუთზე გამოჩნდა და მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა.

საქართველო — ესპანეთი 0:3 (0:2)

მასპინძელთა გულშემატკივრებმა თავი შეგვიძლია იმით დავიმშვიდოთ, რომ სტუმართა თვალსაჩინო უპირატესობა „ბარსელონას“ წარმომადგენელთა გატანილ ბურთებში აისახა (ალენა, მბოულა — 2).

მთლიანობაში კი, მართალია, ეპიზოდურად ღირსეულად გამოვიყურებოდით, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენს თანამემამულეთა მზადყოფნა, ალბათ, არავის მოეწონებოდა.

სხვათა შორის, ბოლო წუთებზე საქმეში რევაზ არველაძისა და სპორტის ყოფილი მინისტრის ლადო ვარძელაშვილის ნაშიერებიც ვიხილეთ, თუმცა, მათ აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლოთ.

ხვალ || ტურში ითამაშებენ: ესპანეთი — ჰოლანდია (12 საათზე, „მიხეილ მესხზე“) და საქართველო-საფრანგეთი (15 საათზე, გორში).

გიორგი ზოთაძე

...ის ყველა ქართველის უსაყვარლესი ადამიანია!

6

ბეტონის ურჩხულებში ჩაკარგული თბილისი

3

იპოთეკური ხაფანგი

უსასლკაროდ რომ არავინ დარჩეს...

7

სამართალი სხვისი სამართლით

8

პონჯიუს პილაჯე

საქართველოს პრეზიდენტი დონალდ ტრამპს გამარჯვებას ულოცავს

თძვენო აღმატებულებავ!

მაქვს პატივი, გულწრფელად მოგილოცოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩევა.

8 ნოემბერს ამერიკელმა ხალხმა ხმა მისცა შემდგომ განვითარებას, წარმატებას, მშვიდობას და უსაფრთხოებას საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობის შემდგომი სიმაღლეების მისაღწევად.

გამუდმებით, ჩემი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ყოველ ეტაპზე, ჩვენ ვგრძნობთ ამერიკელი ხალხისა და მის მთავრობის უზარმაზარ მხარდაჭერასა და თანადგომას. მსურს, მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიული განვითარების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ევროპული და ევროატლანტიკური სწრაფვის ურყევ მხარდაჭერაში აშშ-ის განსაკუთრებული როლისათვის, რასაც ქართველი ხალხი უაღრესად აფასებს.

პატივცემულო, ბატონო პრეზიდენტო, მოუთმენლად და დიდი იმედით ველი ჩვენს შემდგომ თანამშრომლობას, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენი ქვეყნების სტრატეგიულ პარტნიორობას.

დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალისხმევით ქართულ-ამერიკული მრავალწლიანი მეგობრობა და ძლიერი ურთიერთკავშირი კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ...

ამერიკელმა ხალხმა ხმა მისცა ცვლილებებს, რომელიც ორიენტირებულია მათი ქვეყნის გაძლიერებისკენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დონალდ ტრამპს ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.

„მსურს, გულწრფელად მივულოცო ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება დონალდ ტრამპს. ამერიკელმა ხალხმა ხმა მისცა ცვლილებებს, რომელიც ორიენტირებულია შეერთებული შტატების გაძლიერებისკენ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობები ეფუძნება ორი ქვეყნის ინტერესებს. ურთიერთნდობის წლებმა საფუძველი ჩაუყარა ძლიერ, ყოვლისმომცველ და ღრმა სტრატეგიულ პარტნიორობას სახელმწიფოთა შორის. მოწოდებული ვართ, განვაგრძოთ თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციასთან მშვიდობის, უსაფრთხოების, განვითარებისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად ჩვენს ქვეყნებში, რეგიონში და მის მიღმა“, — ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მილოცვაში.

იან კელი: ის, რაც არ შეიცვლება, ეს არის ძლიერი ურთიერთობა საქართველოსთან

აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, აშშ-ში „რეპუბლიკელები“ გაიმარჯვებენ თუ „დემოკრატები“, საქართველოსთან ურთიერთობა არ შეიცვლება:

„ჩვენი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან თქვენ მართლაც განსაკუთარებულ ნაბიჯებს დგამთ რეგიონულ გამოწვევებთან გასამკლავებლად“...

ბარაკ ობამა: „რაც არ უნდა მოხდეს, მზე დილით ამოვა“!

„დაიმახსოვრეთ, რაც არ უნდა მოხდეს, მზე დილით ამოვა და ამერიკა დედამიწაზე კვლავ ყველაზე ძლიერი ქვეყანა იქნება“, — მიმართა ობამამ ამერიკელებს.

აშშ-სა და რუსეთს შორის კრიზისს ტრამპთან დიალოგი დაარეგულირებს

დონალდ ტრამპს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი. რუსული მედიის ცნობით, პუტინი ფიქრობს, რომ ტრამპისთვის რუსეთსა და აშშ-ს შორის დიალოგი მნიშვნელოვანი საკითხი იქნება. პუტინი იმედს გამოთქვამს, რომ პრეზიდენტები ერთობლივი ძალისხმევით, აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული კრიზისული ურთიერთობების განმუხტვას შეძლებენ.

შეკითხვა ნინია კაკაბაძეს

სასახელო მშობლებისა და ძმის არსებავ! — დაასახელე ვაკელები, რომლებსაც ვაკელობა მიაჩნიათ წოდებად და თანამდებობად (იხ. გაზეთი „ასავალ დასავალი“, №44), მე შენ ქილიკსა და შეურაცხყოფას არ გაპატიებ!

ლამარა ჭალაღანია,

თბილისის ყოფილი ქალთა მე-5 სკოლის კურსდამთავრებული, — დედამენის ამხანაგი, ძირძველი ვაკელი, დაბადებული 1932 წელს, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი.

„უფრო მეტად ვატყუებთ საზოგადოებას, როცა ვირჩევთ უუფლებო პრეზიდენტს საყოველთაო არჩევნებით“

„ქართული ოცნების“ წევრი გედევან ფოფხაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება საკონსტიტუციო კომისიამ საზოგადოებრივი კონსენსუსით უნდა მიიღოს. ის მიიჩნევს, რომ პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი, რომელსაც არა აქვს უფლებები, ქვეყნისთვის ადეკვატური ინსტიტუციური მოწყობა არ არის.

„ზოგადად, არ მგონია, რომ ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება ქვეყნის იმიჯზე რაიმე ფორმით უარყოფითად მოქმედებდეს. საუბარია იმაზე, ზოგადად პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში რესპუბლიკური მმართველობის პირობებში როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს. თუ ჩვენ ვირჩევთ პრეზიდენტს საყოველთაო არჩევნებით, მაგრამ ამ პრეზიდენტს არა აქვს კონსტიტუციით განსაზღვრული სათანადო უფლებები, ამით, მე მგონია, უფრო მეტად ვატყუებთ საზოგადოებას, როცა ვირჩევთ უუფლებო პრეზიდენტს საყოველთაო არჩევნებით. თუმცა ეს საკითხი არა მგონია, ახლა მყისიერი გადაწყვეტის საგანი იყოს. საკონსტიტუციო კომისიამ ამაზე უნდა იმუშაოს. წინა მოწვევის პარლამენტში საკონსტიტუციო კომისია იყო აბსოლუტურად არაქმედუნარიანი და ეს იყო განპირობებული იმითაც, რომ კონსტიტუციური ცვლილებების რესურსი მაინც არ იყო. დღეს ჩვენ შეგვიძლია, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კონსენსუსს მივაღწიოთ სამეცნიერო წრეებთან ერთად, არასამთავრობო სექტორთან, საზოგადოებასთან ერთად და არა იმ პოლიტიკურ ძალასთან ერთად, რომელსაც კონსენსუსის პირობად შეიძლებოდა, ვანო მერაბიშვილის ციხიდან გამოშვება ან თავისი პოლიტიკური ინტერესი დაეყენებინა“, — განაცხადა ფოფხაძემ.

„კოზირი“ და სოლოკრატიული საქართველო

2016 წლის 8 ნოემბერს აშშ 45 -ე პრეზიდენტად დონალდ ტრამპი აირჩიეს.

პირველი: ტრამპი — ინგლისურად TRUMP ნიშნავს „კოზირს“. კოზირმა „გაჭრა“ **ჰილარი კლინტონის** ყველა პოლიტიკური კარტი.



დონალდ ტრამპი 70 წლისაა და პირველი ვადით არჩეულ აშშ პრეზიდენტებს შორის უხუცესია!

ტრამპი დაიბადა 1946 წლის 14 ივნისს.

ისე კლინტონის ასაკი 69 წელია.

ეს ფაქტი იმისთვის, ვისთვისაც აშშ მაგალითია, სამაგალითო უნდა იყოს საქართველოში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური ეიჯიზმის (ინგლ. Ageism- ასაკის გამო ადამიანის დისკრიმინაცია) დასაძლევად. ეიჯიზმი ეხება ახალგაზრდებსაც და მოხუცებსაც, თუმცა საქართველოში ის ძირითადად მოხუცების მიმართაა გამოხატული. მისი დამკვიდრება დაიწყო პრეზიდენტმა **შევარდნაძემ** და სისტემად აქცია პრეზიდენტმა **სააკაშვილმა**. ეს უკანასკნელი დღემდე შენარჩუნებულია!..

მეორე: ტრამპის ყველაზე დიდ ნაკლად მისი პოლიტიკაში გამოუცდელობა და მისი არაპროგნოზირებადი ხასიათი სახელდება.

მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია იმის პროგნოზირება, რომ ტრამპი ეცდება წინა საარჩევნო დაპირებების შესრულებას.

აქედან საქართველოს უპირველესად ეხება სამი წინასაარჩევნო დაპირება: **აშშ პოლიტიკა ემიგრანტებთან მიმართებაში გამკაცრდება, აშშ უარს იტყვის სხვა ქვეყნების ძვირად ღირებულ დახმარებაზე და იგი ითანამშრომლებს რუსეთთან.**

საქართველოს მაშტაბებიდან გამომდინარე, პირველი ორი ცვლილება შეიძლება უმნიშვნელო იყოს, რასაც ვერ ვიტყვით მესამეზე.

აშშ — რუსეთის ურთიერთობაში გაიზრდება პიროვნული ფაქტორის როლი, რადგანაც დიდი ალბათობით შედგება **ტრამპისა** და **პუტინის** შეხვედრები. ამ შეხვედრებს ექნება უდიდესი მნიშვნელობა საქართველოსთვის, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მომავლის განსაზღვრის საქმეში.

უნდა შეიქმნას სპეციალიზებული კვლევის ცენტრები, რომლებიც შეიმუშავებენ ქვეყნის საგარეო ურთიერთობების განვითარების რეკომენდაციებს.

ამასთან, აშშ და რუსეთის მიმართულებით დაძლეულ უნდა იქნას დიპლომატიური ეიჯიზმი და მობილიზება გაუკეთდეს ყველა ადამიანურ რესურსს, რაც ქვეყანას გააჩნია. განსაკუთრებით ითქმის ეს რუსეთთან მიმართებაში. დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა გამოყენება შეიძლება ამ ურთიერთობებში პროგრესის მისაღწევად.

მესამე: ქართულ სოლოკრატიას ტრამპის მიმართ არ უნდა გაუჩნდეს ორაზროვანი დამოკიდებულება ეჭვიანობის ნიადაგზე — **იმის გამო, რომ ტრამპთან პრეზიდენტ სააკაშვილს ჰქონდა ურთიერთობა. საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა სრული პატივისცემა უნდა გამოხატოს ამერიკელი ხალხის არჩევანის გამო.**

მეოთხე: ფაქტია, ტრამპი, როგორც პრეზიდენტი ვერ შეეგუება იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელსაც კორუმპირებული უწოდა, იმ საარჩევნო სისტემას, რომელიც ამხილა ფალსიფიკაციაში და საარჩევნო სიების გაყალბებაში და ა.შ.

ქართველებმა თვალყური უნდა მივადევნოთ, თუ როგორ განახორციელებს ტრამპი პრაქტიკაში თავის დანაპირებს, პირველ რიგში კი, ლოზუნგს — „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ და ამერიკელების გაერთიანების ამოცანას (ტრამპის დაპირებაა, რომ ის იქნება „გამაერთიანებელი“).

გაჩნდა იმედი, რომ ე.წ. „დასავლეთი“ წარმოჩინდება მისი ნამდვილი შინაარსით, როდესაც ამერიკელები და ქართველები იმეგობრებენ იმ გარემოში, როდესაც ერთი მოქმედებს პრინციპით „ამერიკა უპირველეს ყოვლისა!“, ხოლო მეორე კი პრინციპით — „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“.

მთავარი ახლა ისაა, რომ ქართულმა სოლოკრატიამ შეძლოს დახლეჩილი საზოგადოების გაერთიანება — შეძლოს საქართველოს მოქალაქის სტატუსის ამაღლება, საქართველოში დაბადებით უპირატესობის მატერიალიზება, პროგრესი ტერიტორიის გამთლიანებისკენ, სიღარიბის აღმოფხვრა, საქართველოდან ქართველების გაქცევის ნაცვლად, მათი შინ მობრუნება და ქართველებისათვის საქართველოს დაბრუნება.

ისე, როგორც ამერიკელებისთვის ამას გვპირდება მისი ახალი პრეზიდენტი!

მეხუთე: თუ ტრამპი დანაპირებს შეასრულებს, მაშინ პატრიოტიზმი იქცევა მთავარ პოლიტიკურ მოდად აშშ-ში და ის მოედება მთელ მსოფლიოს. მათ შორის საქართველოს!

ფეხზე ამდგარი და ძუდ მოხდილი ველოდეთ ამ დღეს. ყველანი მოვსწრებოდეთ!

მიხეილ ჯიბუტი

ბეტონის ურჩხულებში ჩაკარგული თბილისი

მაღალი ნაგებობების გამო დედაქალაქის ცენტრში ცხოვრება შეუძლებელი ხდება

თბილისის ცენტრი თანდათანობით ზემაღალი შენობებით ივსება და ნემსის ჩასაგდები ადგილი აღარ რჩება. ასეთ პირობებში ცხოვრება სულ უფრო გაუსაძლისი ხდება, რასაც უკვე თავად მშენებლებიც კი აღარ მალავენ. სიტუაციის გამოსწორება უკვე შეუძლებელია, მაგრამ კიდევ მეტად გართულების თავიდან არიდება ჯერ კიდევ შეიძლება.

დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში „კა-2“ კოეფიციენტის შეზღუდვა გარდაუვალია. კომპანია „აქსისის“ გენერალური დირექტორი გიორგი კაპანაძე აცხადებს, რომ „კა-2“-ის დაუგეგმავი მატების გამო, თბილისში არაადეკვატური სიტუაცია ჩამოყალიბდა. არის უბნები, სადაც, უბრალოდ, შეუძლებელი გახდა ცხოვრება.

„ის გადაწყვეტილება, რომელიც მთავრობამ მიიღო და დროებით შეაჩერა „კა-2“ კოეფიციენტის მომატება სწორი იყო“, — აღნიშნავს კაპანაძე და დასძენს, რომ ახლა უბნების მიხედვით განისაზღვრება ეს კოეფიციენტი.

ბიზნესმენი იმედოვნებს, რომ ეს საკითხი ადეკვატურად გადაწყდება და წინასწარი ინფორმაციით, ცენტრალურ უბნებში ნამდვილად შეიზღუდება, ხოლო პერიფერიებში იქნება შესაძლებელი გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, „კა-2“-ის მატება.

„მთავარია, იყოს ერთიანი თამაშის წესები. ერთი დეველოპერისთვის რაც არის აკრძალული, მეორესთვისაც იგივე უნდა იყოს“, — აღნიშნა „აქსის“ გენერალურმა დირექტორმა „ჯიბისისთან“ საუბრისას.

ჯერჯერობით ახლო მომავლის პერსპექტივა ისაა, რომ დედაქალაქის ცენტრში „კა-2“ კოეფიციენტის შეზღუდვის გამო სამშენებლო კომპანიების უმეტესობას არჩევანის გაკეთება გარეუბნების სასარგებლოდ მოუწევს. ეს იქნება წინაპირობა, რომ გარეუბანი უფრო მეტად განვითარდეს და იქ ცხოვრება პრესტიჟული გახდეს. შეიძლება, მოთხოვნა მეტროს მიმდებარე ტერიტორიებზეც გაჩნდეს. ამასთან, აითვისონ ყველა ის უბანი, სადაც კომუნისტურ პერიოდში მიტოვებული წარმოებებია.

მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი ვარაუდობს, რომ ამ ტერიტორიებზე მშენებლობის ბუმი გაჩნდება, შემდეგ კი პროცესი გარეუბნებისკენ გადაინაცვლებს.

„მასობრივი მშენებლობების ფონზე გარეუბნებიც უფრო მოწესრიგდება და პრესტიჟიც აიწევს. ვაკე-საბურთალოს შემდეგ, საინტერესო და კარგად განვითარებადი მეჩვენება ვარკეთილი-ვაზისუბნისა და გლდანი-ნაძალადევის მიმართულება. ასეთი შეიძლება იყოს საბურთალოს ზედა ნაწილიც, ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია და სხვა, ყველა ის ადგილი, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი კარგად არის განვითარებული. არ გამოვრიცხავ - მეტროებთან მდებარე საცხოვრებელ კორპუსებზე მეტი მოთხოვნა გაჩნდეს, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია“, — აცხადებს როსტომაშვილი.

უძრავი ქონების ექსპერტი შოთა გუჯაბიძეც ადასტურებს, რომ მაღლივი კორპუსების მშენებლობამ შეიძლება პერიფერიებისკენ გადაინაცვლოს, მაგრამ ზომიერების დაცვა იქაც საჭიროა. მისი აზრით, დაუშვებელია ისტორიული ქალაქის ცენტრალურ უბნებში მაღალსართულიანი შენობები შენდებოდეს იმ ინტენსივობით, როგორც ეს დღეს თბილისში შენდება.

გეძა დანელია

დენის გაძვირებას მოსახლეობა 1 წლით გადაურჩება?!

ლარის კურსის მკვეთრი რყევის მიუხედავად, წელს მოსახლეობა დენის გაძვირებას, სავარაუდოდ, გადაურჩება, თუმცა თუ ეროვნული ვალუტა მომავალში მაინც არ გამყარდა, ტარიფი მოიმატებს. სემეკს ყოველი წლის ბოლოს შეუძლია, ელექტროენერგიის შესასყიდი ფასი შეცვალოს.

ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი ამბობს, რომ ამ ეტაპზე ტარიფის შეცვლის არანაირი წინაპირობა არ არსებობს, თუმცა მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ტარიფების დადგენა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის პრეროგატივაა.

იგივე პოზიცია აქვს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს ირინა მილორავას. მისი აზრით, ლარის კურსის ცვლილება არ არის იმ შინარსისა და იმ ხასიათის, რომელსაც შესაძლებელია, ტარიფზე გავლენა ჰქონდეს. მისი განმარტებით, ახალი სატარიფო მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ტარიფების დადგენა ერთი წლით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გადახედვა ხდება ყოველწლიურად. ეს არის გეგმიური პროცესი, ასე მოხდა შარშან, შარშანწინ და ასე იქნება მომავალ წელსაც.

მისივე თქმით, პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, რადგან სემეკის საქმეა გადაწყვეტილების მიღება ტარიფებთან დაკავშირებით და არა პროგნოზის გაკეთება. ეს ეხება ყველა სამომხმარებლო ტარიფს, რასაც სემეკი იხილავს.

თუმცა მთლად ასე მარტივად არ უყურებენ საკითხს ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიები. ყველა მათგანს სემეკში განცხადება აქვს შეტანილი და მიუთითებენ, რომ ვალუტის კურსი მნიშვნელოვანია სატარიფო კომპონენტში, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულება.

„ვალუტის კურსი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კომპონენტში, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულება ამბობს „ენერგო პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი მიხეილ ბოცვაძეც. იგი მეტად მნიშვნელოვანი მდგენელია ჩვენი ტარიფის დაანგარიშებისას, თუმცა ვფიქრობ, პირველი იანვრიდან შენარჩუნებულია შედარებით დაბალი ფასი შესყიდული ელექტროენერგიის კუთხით, ამიტომ შესაძლებელია არ მოხდეს ჩვენგან ზრდის მოთხოვნა, მაგრამ მაინც სემეკის დასათვლელია“, — განაცხადა ბოცვაძემ.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროში მოქმედმა კომპანიებმა მათ შორის, „თელასმა“, „ენერგო პრო ჯორჯიამ“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ სემეკს მომავალი წლის ტარიფის დადგენის მიზნით უკვე მიმართეს. კომისიამ აღნიშნულთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. გადაწყვეტილება მალე გახდება ცნობილი.

გეძა დანელია

ყვითელი ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების გამონაბოლქვი კიბოს იწვევს

უმთავრესია ფასისა და ხარისხის თანხვედრა

თბილისში მოძრავი ყვითელი ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები მოქალაქეების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, რადგან მათი გამონაბოლქვი ფილტვის კიბოს განვითარებას უწყობს ხელს.

ამის შესახებ For.ge-ს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის წარმომადგენელმა ბაკურ ხუნდაძემ განუცხადა. მისი თქმით, ყვითელი ავტობუსები და სამარშრუტო ტაქსები დიზელის საწვავზე მუშაობენ. იმის გამო, რომ ამ ტრანსპორტში უხარისხო ზეთია ჩასხმული, ყველა მათგანს დაზიანებული აქვს ტურბინა და მაყუჩი. შედეგად იმატებს კიბოს გამომწვევი დიზელის ტოქსიკური გამონაბოლქვი. ამ სატრანსპორტო საშუალებების კომპანიებთან ვერავინ ვერაფერი გააწყო, რადგან იქ მაფია და განუკითხაობა მძვინვარებს.

„დიზელის მანქანების გამონაბოლქვი უფრო მკაცრად უნდა გაკონტროლდეს, ვიდრე ბენზინზე მომუშავე მანქანების. ყვითელი ავტობუსები ძლიერ გამონაბოლქვს გამოყოფენ თბილისში. მათი მომსახურება (ანუ ზეთები, საწვავი, ტურბინები) არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან მათ საკმაოდ ადრე დაიწყეს ჰაერის დაბინძურება და ბოლის გამოყოფა. რაც შეეხება ლურჯ ავტობუსებს, ჯერ ისინი ახალია, ეს არის მაღალი კატეგორიის, ტექნოლოგიის ავტობუსები და, თუ მათი მომსახურებაც ნორმალური იქნება, ამ ავტობუსების სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზრდება. როგორ შეიძლება, ლურჯი ავტობუსების მიმართ გვქონდეს პრეტენზია?! არც ყვითელი ავტობუსების მიმართ შეიძლება ვიყოთ უარყოფითად განწყობილნი, თავის დროზე ისინი მაღალი კლასის ავტობუსებად ითვლებოდნენ. უბრალოდ, მათი შემდგომი მომსახურება იყო საეჭვო, შესაბამისი დონისა და სერვისის უხარისხობის გამო, ისინი მწყობრიდან მალევე გამოვიდნენ. თუ ლურჯ ავტობუსებსაც არ ექნებათ შესაბამისი სერვისი, ისინიც მალე გამოვლენ მწყობრიდან. შესაბამის სერვისში ვგულისხმობ მათი დონის სათადარიგო ნაწილებს, მათში ჩასასხმელ სითხეებს, რომელთა ხარისხიც უნდა მოწმდებოდეს და შესაბამისობის მიხედვით შეირჩეს“, — აღნიშნა ბაკურ ხუნდაძემ.

მანვე განმარტა, რომ ჯანმრთელობისთვის არანაკლებ საშიშია სამუხრუჭე ხუნდებში არსებული აზბესტის შემცველობა. ფაქტობრივად, აზბესტის მტვერი პატარა ბავშვებისა და ფეხით მოსიარულეების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, რადგან მისი ნაწილაკები ერთხელ თუ მაინც შეისუნთქეს, ფილტვში ჩაუჯდებათ და 25 წლის შემდეგ შეიძლება სიმსივნის სახით გამოიხატოს. ამის ნათელი მაგალითია ჩერნობილი, სადაც მავნე აირის გამონაბოლქვის გამო მძიმე შედეგი 25 წლის შემდეგ დადგა. ცხადია, ახალგაზრდის ორგანიზმში მოხვედრილმა წიდამ შეესაძლოა, მას 5-10-15 წელიწადში არაფერი ავნოს, რადგან ახალგაზრდის სხეულის იმუნიტეტი ჯერ კიდევ მყარია, მაგრამ როგორც კი იმუნიტეტს პრობლემა შეექმნება, შესაძლოა, სხეულში სამუდამოდ განთავსებულმა წიდამ სუსტი წერტილი იპოვოს და დაიწყოს განვითარება.

„ონკოლოგებიც ამბობენ, რომ ამ მხრივ თბილისში სავალალო მდგომარეობაა. ჩვენს ორგანიზაციასა და ონკოლოგებს ამას წინათ ერთობლივი პრესკონფერენცია ჰქონდათ და იქ ვისაუბრეთ, რამდენად საშიშია, თუკი აზბესტიანი სამუხრუჭე ხუნდები იყიდება საქართველოში. ამას შემოწმება სჭირდება, არავინ იცის, რა შემოდის. არის ეჭვი, რომ დიდი რაოდენობით შემოდის იაფფასიანი სამუხრუჭე ხუნდები, რომლებიც აზბესტს უნდა შეიცავდეს. ცხადია, უხარისხო ნაწარმი თურქეთიდან, ჩინეთიდან შემოდის, თორემ ევროპიდან არ შემოვა, რადგან მათი გამოყენება ევროპაში კატეგორიულად აკრძალულია. ევროპაში იმ საწარმოშიც კი არავინ იმუშავებს, სადაც აზბესტს გამოიყენებენ. ჩვენ კი უხარისხო საქონლის გადმოყრის არეალი ვართ“.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ბაკურ ხუნდაძე მიიჩნევს, რომ გამოსავალი ამ სფეროს გაკონტროლებაშია. ტენდერის გამოცხადებისას უმთავრესი ფასი კი არ უნდა იყოს, არამედ საუბარი უნდა იყოს ფასისა და ხარისხის თანხვედრაზე.

მანანა ნოზაძე

ომარ ქუცნაშვილი:

სანდრას სიონი მოეწონა და მიშამ გზის ერთი მოკლე მონაკვეთი დააგებინა, შემდეგ მიაგდეს...

— ამომრჩეველთა 60,9 პროცენტის მხარდაჭერით თქვენი ვაჟი წლევანდელი საპარლამენტო არჩევნების პირველსავე ტურში დეპუტატი გახდა. ელოდით ზაქროს ასეთ წარმატებას? — ამ შეკითხვით დავიწყეთ საუბარი ბატონ ომარ ქუცნაშვილთან, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორთან.

პასუხი იყო ერთმნიშვნელოვანი:

— რა თქმა უნდა.

— ხალხი ამბობს — ზაქარია ქუცნაშვილმა თიანელებს იმდენი კარგი საქმე გაუკეთა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

— დავეთანხმები ამ შეფასებას და აქვე დავაზუსტებ: შესაბამისი სამინისტროების თანადგომით. იყო სხვა ფაქტორიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი: გაკოტრებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ საარჩევნო ოლქში ხმების მხოლოდ 9 პროცენტი მიიღო.

ეს განაპირობა იმან, რომ თუ დუშეთში „ნაცმოძრაობა“ ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულია, ყაზბეგსა და თიანეთში მისი გავლენა განულებულია. ამ პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატს - ოტიაშვილს, დუშეთის ყოფილ გამგებელს, ამომრჩეველთა მხოლოდ 13 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

— დუშეთი ისეთი რა „ბეღელია“ ნაციონალების?

— დუშეთიდან არის იგივე ნაციონალი შალვა ნათელაშვილი, სააკაშვილისტების აქტიური მხარდამჭერი და პროპაგანდისტი, და ერთი უზნეო ქალი (გვარის დასახელებას მოვერიდები), რომელმაც დედამთილს უთხრა, პურზე გავალო და წავიდა, მიატოვა ოჯახი, საყვარელს გაჰყვა. ჩვენთან მთაში ეს ყოვლად მიუღებელ, მორალურ დეგრადირებად არის მიჩნეული.

„ნაცმოძრაობის“ და მისი მაჟორიტარის მინიმალური პროცენტებიც ძალიან დიდი დაფინანსების საშუალებით იყო მოპოვებული. როგორც ირკვევა, მგონი ჩოჩელს ჰქონდა ეგ დავალებული.

ასეთი სქემა თამაშდებოდა: ჩოჩელს, როგორც მცხეთა-მთიანეთის ყოფილ გუბერნატორს, სურდა, ეს რეგიონი კვლავაც თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ დაეტოვებინა. შენიღბულად: ორივე (ჩოჩელიც და ოტიაშვილიც) დამოუკიდებელი კანდიდატების სტატუსით მონაწილეობდა არჩევნებში.

ჩოჩელმა ისიც კი გაბედა, რომ ავრცელებდა ხმას, თითქოს „ქართული ოცნება“ უჭერდა მხარს.

— ეს ერთი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარ დეპუტატად ზაქარია ქუცნაშვილის არჩევას.

— დიახ, ერთი ესაა. ახლა სხვასაც გეტყვით. ჩვენთან, მთაში, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები ყოველთვის ჭარბობდნენ და ამჟამადაც ჭარბობენ არასახელმწიფოებრივად მოაზროვნეებს. ოცდაათ ვერცხლზე უფრო იაფად გამყიდველებს. ბევრად იაფად.

ეს ერთი მომენტი.

მეორე. მადლიერების განცდა მთიელებში არასოდეს წაშლილა. სიტყვას საქმედ რომ აქცევ და უღალატობას შეგნიშნავს, იგი სამუდამოდ შენი ერთგული რჩება. ღალატს ვერ იტანს მთიელი.

იმასაც ვიტყვი, რომ ხალხთან ზაქროს მიდგომა ურთიერთობაში სხვა კულტურას ნერგავს. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ დეპუტატი, უპირველეს ყოვლისა, ხალხის წარმომადგენელია, შემდეგ — კანონშემოქმედი (14 კანონის ავტორია ზაქარია ქუცნაშვილი. — ა.ს.). ხალხის მსახურია. აღმასრულებელ ხელისუფლებასთანაც უნდა დაუდგეს შუამავლად და მიაღწიოს ამომრჩეველთა (ხალხის) წინადადებების, თხოვნისა და სურვილების აღსრულებას. არც ერთ სამინისტროს არ მოეშვებოდა, სანამ თავისას არ გაიტანდა.

აი, ძირითადად ამ ფაქტორებმა განაპირობა მისი წარმატება.

— ბატონო ომარ, მოდით, ახლა მაინც გვერდზე გადადეთ თავმდაბლობა და დეპუტატ ქუცნაშვილის მიერ გაკეთებული საქმეები ჩამოთვალეთ, თიანელთა გარდა

ჩვენმა მკითხველებმაც რომ იცოდნენ...

— რახან მთხოვთ, ვიტყვი, თუმცა, მოგეხსენებათ, რომ საქმენი თავად მეტყველებენ ყველაფერს...

ზაქრომ, როგორც „ოცნების“ წარმომადგენელმა, ჩვენებურებს დაუბრუნა იმედი. ეს უპირველესია. იმ კუთხეში, სადაც არც გზა იყო, არც წყალი, არც ელექტროენერგია (ზოგიერთ სოფელში — საბჭოთა პერიოდშიც კი), სადაც არც ერთი ბიბლიოთეკა არ მუშაობდა, აღარც საბავშვო ბაღები, გაპარტახებული იყო სასკოლო შენობები, რომლებშიც საკლასო ოთახებს თუნუქის ღუმელებით, შეშით ათბობდნენ, ყველა ეს პრობლემა გადაუჭრა.

დღეისთვის ყველა სკოლა აღდგენილი და რეაბილიტირებულია, თანაც — ცენტრალური გათბობით. ყველა საბავშვო ბაღი ამოქმედდა. ყველა სოფელი გამრიცხველიანებული და უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, გადაწყდა წყალმომარაგების საკითხი. გაიყვანეს შიდასახელმწიფოებრივი გზები...

— აბა, სააკაშვილმა გაიყვანაო?..

— ერთი ექვსკილომეტრიანი გზა — აქეთ, ცხვარიჭამიასთან. სანდრა რულოვსს მოსწონებია ძალიან სიონი და წინა არჩევნების პიარპროგრამით დააგეს ასფალტი ამ გზაზე, თანაც — ერთ ფენად. შემდეგ მიაგდეს.

ახლა თავიდან აშენდა სასადილო-სიონის ბეტონისსაფარიანი გზა, მთლიანად რეაბილიტირებულია თბილისი-ცხვარიჭამია-ღულელები-თიანეთის გზა. დაიწყო და ნოემბერში დამთავრდება (სამი კილომეტრიღა დარჩა, უამინდობამ შეაფერხა) ჟინვალი-თიანეთის და ყველა შიდა გზა. ახმეტა-თიანეთის გზის პროექტი მომზადებულია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. დღე-დღეზე გამოცხადდება ტენდერი და გამარჯვებული კომპანია გაისად დაიწყებს მშენებლობას. ამ 30-კილომეტრიანი გზით თბილისს კიდევ ერთი შემოვლითი მაგისტრალი გაუჩნდება.

ეს კი ნიშნავს, რომ თიანეთს აღუდგება სამხედრო-პოლიტიკური ფუნქცია, ზურგის ფუნქცია, რომელსაც იგი ისტორიულად ასრულებდა. ჩვენი ვიწრო ხეობები სავსეა ციხესიმაგრეების ნანგრევებით, სადაც კახეთში შემოსევების დროს თავს აფარებდა დევნილი მოსახლეობა — ბავშვები, ქალები, მოხუცები და უმწეონი.

— ბიბლიოთეკები?

— არ დამვიწყებია. ყველა სოფელში აღდგა ბიბლიოთეკები. ზამთარი დიდია: ჩვენ ხალხს უყვარს წიგნის კითხვა, წიგნიერი ხალხია. ეს ქმნის მიგრაციის დამაბრკოლებელ გარემოს. უკუმიგრაციის პრობლემა ბარიდან მთისკენ თუ არ გადავწყვიტეთ, ჩვენი ქვეყნის საშველი არ იქნება. ბარემ ინფრასტრუქტურის მოწყობაზეც ვიტყვი მოკლედ: თიანეთში მოგვარდა წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემები, გაკეთდა ვაჟას სახელობის არაჩვეულებრივი პარკი სპორტული მოედნებით, საჭიდაო დარბაზით (ბიძინა ივანიშვილმა გვაჩუქა), ათას მაყურებელს რომ იტევს, ისეთით; საკონცერტო დარბაზით. ზაფხულში აქაურობა სავსეა დამსვენებლებით.

პარკის მიმდებარედ, ივრის მარჯვენა ნაპირზე დამთავრდა შესანიშნავი ტაძრის მშენებლობა. ეს იქნება ფშავ-ხევსურეთის მართლმადიდებელი ეპარქიის ერთ-ერთი გამორჩეული ტაძარი.

— მაღალი სულიერება, სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული, შრომისმოყვარეობა ამ კუთხის ხალხის დამახასიათებელი თვისებებია. ეს არაერთგზის აღნიშნულა...

— პოეტური ბუნების ხალხი ცხოვრობს ჩვენთან — გენეტიკურად ასეა. ამიტომაა, რომ ისეთი პოეტი გვყავს, როგორიც მირზა გელოვანია. მისი ლექსები ჩვენებურებმა ზეპირად იციან. თიანეთში განახლდა მირზას სახლ-მუზეუმი, ხოლო სახელი და პოეზია არასოდეს გახუნებულა. მირზამ, სრულიად ახალგაზრდამ, სამშობლოსთვის გასწირა თავი დიდ სამამულო ომში.

მფრინავი ზურაბ იარაჯული კი საქართველოს გამთლიანებისთვის იბრძოდა.

პიროვნება მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი, როცა ოჯახიც და პიროვნებაც ერის სამსახურში დგას, ერის სიცოცხლით ცხოვრობს და მის მარადიულობაზე ფიქრობს.

40-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა განახორციელა და ბოლო დავალების შესრულების შემდეგ ჩამოაგდეს სოხუმთან ახლოს. ჩეჩნები და აფხაზები გარს შემოერტყნენ და დანებება მოსთხოვეს (ტყვეების გაცვლის შემთხვევაში ყველაზე ძვირად თურმე მფრინავი ფასობს). ზურაბი არ დანებდა, მიუშვა ახლოს და სამი ტყვიით, რომლებიც პისტოლეტში დარჩენოდა, სამი თავდამსხმელი გამოასალმა წუთისოფელს. იმათაც ესროლეს და მოკლეს.

ასეთი თავგანწირვა მოეწონათ აფხაზებს და ჩეჩნებს, დაკრძალეს დიდი პატივით და ქართულ მხარეს შეატყობინეს, რომ ეს ვაჟკაცი აქა და აქ არისო დაკრძალული.

ჩვენებმა მაშინვე გადმოასვენეს.

სამწუხაროდ, მთელი ოჯახი ამ უბედურებას გადაჰყვა.

ახლა ზურაბ იარაჯულის სახელობის სკვერი კეთდება თიანეთში. ზაქრო პრეზიდენტ მარგველაშვილთან შევიდა და დაფინანსებაში მხარდაჭერა სთხოვა.

— მარგველაშვილმა რაო?

— არც არაფერი. მოუსმინა და მეტი არაფერი. პრეზიდენტს ურჩევნია, საერთო ენა მონახოს და მხარი დაუჭიროს არასამთავრობო ორგანიზაციებს — მსტოვართა ლეგალურ ინსტიტუტს, ვიდრე წინ წაწიოს ქართული საქმე. ბევრ შემთხვევაში ასეა.

ეჭვი მეპარება, რომ ქართული სულის კაცია საქართველოს პრეზიდენტი. სიტყვას რომ იტყვის და არ შეასრულებს, ის კაცი, მთიელების რწმენით, გასულია სიმართლის ველიდან.

გმირებს, ჩემი აზრით, ოჯახი და ერი ზრდის. ოჯახი არის სულიერი მასაზრდოებელი პიროვნებისაც და ერისაც. ოჯახის გარეშე ერი ვერ შედგება. თუ გვინდა, რომ უსამართლო მსოფლიოსგან დაღლილი ხალხი გათავისუფლდეს და ამდენი უბედურება არ ხდებოდეს, კაცობრიობამ უნდა შეცვალოს პარადიგმა — არა მხოლოდ პიროვნების უფლებების და თავისუფლების დაცვა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, — ერი, ოჯახი და პიროვნება! პიროვნება მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი, როცა ოჯახიც და პიროვნებაც ერის სამსახურში დგას, ერის სიცოცხლით ცხოვრობს და მის მარადიულობაზე ფიქრობს.

ადამიანის უფლებებზე ლაპარაკი არის ყველაზე შენიღბული და ყველაზე უფრო საშიში ფორმა მცირერიცხოვანი ერების იდენტურობის შენარჩუნების წინააღმდეგ მიმართული.

ეს, ჩემი აზრით, არის მეთოდი იმპერიული და ნეოკოლონიური პოლიტიკის განსახორციელებლად გამოყენებული, მთავარი იდეოლოგიური მექანიზმი დღევანდელ მსოფლიოში. ამასთან ერთად — ეკონომიკური და ინტელექტუალური ექსპანსია.

რა დაგვრჩენია, რა იარაღი, მცირე ერებს თავის დასაცავად?

ერი, ოჯახი, პიროვნება! მამული, ენა, სარწმუნოება! ამ ორი სისტემის ერთიანობა გვაძლევს ეროვნულობის შენარჩუნების საშუალებას. ამას კი ცოდნა და ღრმა განათლება სჭირდება.

— და, არსებული რეალობის სწორი შეფასება.

— რა თქმა უნდა. მამულიშვილები უნდა აღვზარდოთ და არა მსოფლიო მოქალაქეები. ეს უკანასკნელი სიკეთე დიდ ერებს დავუტოვოთ. მცირე ერებს არა გვაქვს უფლება, ამის პრეტენზია გვქონდეს. ჯერ ოჯახიშვილობა, მამულიშვილობა არის ჩვენთვის მთავარი.

— და ბოლო შეკითხვა, რომელიც ჩვენი რეალობის უმწვავეს პრობლემას, საქართველოს მთლიანობის აღდგენას შეეხება.

ახლახან ზაქრო ქუცნაშვილმა რუსეთის მხრიდან შემოთავაზებულ წინადადებას, რომელიც ამ ქვეყანასთან საპარლამენტო თანამშრომლობის განახლებისა და დიპლომატიური კავშირის აღდგენის შესაძლო პერსპექტივას ეხებოდა, განაცხადა, რომ ეს ყველაფერი გამორიცხულია იმ ბარიერის მოხსნამდე, რომელიც შეიქმნა საქართველოს ტერიტორიების დაკარგვის შედეგად. მან ხაზგასმით თქვა, რომ ჩვენ გვჭირდება კონსულტაციები რუსეთთან, ევროპასთან ინტეგრაციის ჰარმონიულად, ნაკლები წინააღმდეგობის ფონზე განსავითარებლად.

რას იტყვით ამ განცხადების შესახებ?

— მოკლედ გეტყვით: სავსებით ვიზიარებ ამ პოზიციას.

და დაუმატა:

თოვლით დაფარულ ნაძვების
ახლოს ის იწვა ერთი,
და უცქეროდა ღრუბლების მაღლობს
თვალებით თეთრით...
არც ხმლის ნატეხი, არც ბუდე ისრის
არ ეგდო სადმე,
მხოლოდ შემხმარი მოშავო სისხლი
შვენოდა წარბებს.
ამ სისხლს ხსოვნისთვის
გულზე წაიცხებს,
მკერდით დაიცავს,
გმირობას მისას არ
დაივიწყებს
რუსეთის მიწა.

ეს ლექსი-მეტაფორა მირზა გელოვანისაა.

არმაზ სანეგლიძე

MAGTI

მაგთის IP ტელევიზიასა და მაგთისატზე არხების დამატება გრძელდება!

ნოემბრიდან მაგთისატისა და მაგთის IP ტელევიზიის მომხმარებლები დამატებით სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის მაღალრეიტინგულ არხებს იღებენ:

კინოარხები მაღალშემოსავლიანი ბლოკბასტერებით, მძაფრსიუჟეტიანი თრილერებითა და პრესტიჟული კინოფესტივალების ნომინანტი ფილმებით:

- TV 1000
- TV 1000 Action
- TV 1000 Русское кино

შემეცნებითი საგანმანათლებლო არხები საუკეთესო დოკუმენტური ფილმებითა და გადაცემებით ისტორიულ მოვლენებზე, მოგზაურებსა და მკვლევარებზე, ცხოველთა სამყაროზე:

- Viasat History
- Viasat Nature
- Viasat Explore
- Da Vinchi Learning

სპორტული არხი – Viasat Sport – სპორტის ახალი ამბებით, პირდაპირი ტრანსლაციებით, NBA – უმაღლესი საკალათბურთო ლიგის მატჩებით, ბეისბოლით, ამერიკული ფეხბურთით, ბოქსით და სხვა.

გარდა ამისა, მაგთისატის მომხმარებლებს დამატებით 12 არხი მიეწოდება:

საინფორმაციო არხები

- France 24
- DW
- Russia Today
- Настоящее Время
- RBK

შემეცნებითი არხები:

- Живая Планета
- Planeta HD
- Наука

კინოარხი – НСТВ

სხვადასხვა არხები:

- Sarafan+
- Az TV
- Armenia TV

◎ მცირე პროზა

ოჰ, ეს ფრთები

უკვე კნუტს ველარ დაარქმევდი, ერთიანად შავად აპრიალებული, ნაზბეწვიანი კატა ორსართულიანი სახლის სახურავიდან, თითქოს საგანგებოდ მისთვის გაწვდილ ტოტს მკვირცხლად შეასკუპდა, ფრთხილად ჩამოსრიალდა ხის ტანზე, პირველი სართულის აივანზე ზმორებით გამოიარა და დივან-საწოლზე ნებიერად წამოწოლილს მუცელზე უბოდიშოდ ამომაცოცდა.

ბედის დაცინვაა, მთელი სიცოცხლე შავ კატას ვუფრთხოდი, ახლა კი ლამის მეგობარი გამიხდა.

ბორჯომის თვალწარმტაც ხეობაში, თითქოს საგანგებოდ შერჩეულ, უკეთესს რომ ვერ ინატრებ, იქ, საზაფხულოდ მწვანედ მოხასხასე ხეხილიანი სახლ-კარი შევიძინეთ. პატარა, მწვანედ მობიბინე ეზო-კარი, იქვე ასხლეტილი უშველებელი მთა, გვერდით გიჟმაჟი, მოჩუხჩუხე ნაკადული, უკან მტკვარი ლამის საუკუნეს მიღწეულს, უფალმა სიცოცხლის საზღაურად მიბოძა და...

მზემ ეს-ეს არის, თავწამახული, ერთიანად ტყით შებურული ქედი გადმოვლო, ოქროვანი სხივები ჯერ მოკრძალებით ჩამოფინა, მერე იქაურობა ხასხასა ფერებით გაივსო. საოცარი სიმყუდროვისგან, მისალულად შემზადებული ქუთუთოები კატამ დამიფრთხო.

კატამ უცნაურად შავმოყვითალო თვალები თვალში გამიყარა, თითქოს მოსინჯა, ხომ არ შემომწყრებაო, რაკი ხიფათი ვერ იგრძნო, ამჯერად გევრდზე ამოიცქაფნა და ზედ გულთან დამაწვა.

სულ რაღაც ორი თუ სამი თვის წინათ, შეღამებულზე მტკვრის პირას კაკლიანეთში მოსეირნე კნუტის საცოდავმა კნავილმა შემძრა, იქვე, ვიღაცას გადაეგდო, შიმშილისაგან ძალმილეულს, სიცოცხლის გადასარჩენად კნავილიღა შერჩენოდა. არა, რა გული გამიძლებდა, ხელი დავავლე და შინ წავიყვანე, სასწრაფოდ ყლუპი რძე რომ დავალევინე, თვალები მილულა და მიიძინა.

კატის ჯიშ-ჯილაგი უკვდავია, თუ კი სასიცოცხლო ხავსს წაეპოტინა.

მისი რიტმული კრუტუნი, თითქოს საათის ისრების ხმას აყოლილი, როგორღაც მიამებდა სიცოცხლის შემოდგომის წუთებს.

აკი მკერდში მინაბული გულიც შეთრთოლდა, შეუტკბა. სხულშიც სითბო ჩაილვარა, თვალებიც ისევ საძილედ გაინაბებოდნენ, რომ არა ჩიტი, მთის ლამაზი არსება, მის ჯიშ-ჯილაგზე ვერაფერს ვიტყვი, ეს კი იყო, კოხტა წითელი ნისკარტი, მუქ-ლურჯი ბუმბული, ყვითელფეხება, ხიდან ხეზე გადაფრინდაო, პოეტმა რომ თქვა, მერე დაბლა დაეშვა, მწვანედ მოხასხასე მოლზე წაგოგმანდა, მერე სკუპ-სკუპით ხშირ ბალახს არ დაერიდა, წვრილ ღეროებს წვეროზე მძივივით ასხმული მარცვლები აკენკა, ალბათ, ეტკბილა, ქარვა, წამახული ნისკარტი მაღლა შემართა, თითქოს მზის სხივები შეისრუტა, სივრცე ნაზავი ნექტარით დააგემოვნა.

რაც თავი მახსოვს ფრინველთ, ცათა მპყრობელთ შევნატრი. ოჰ, ეს ფრთები... კი, თვითმფრინავი, დირიჟაბლი, სხვა ფრენის საშუალებები ჩვენს გიჟურ საუკუნეში პრობლემა როდია, და მაინც, სულ სხვაა საკუთარი ფრთები. კაცი მიწას მიჯაჭვული რომ არ იყო, ოცნებას ლაღად გაეკიდო, სამყაროში გაინავარდო, სივრცეს დაეუფლო, საკუთარი ფრთები უნდა გქონდეს, ჰოდა, ამადაც ამ ჩიტს შურის თვალით მივჩერებოდი.

ანაზდად მკერდზე, ძილში მოკრუტუნე კატა, რომ მეგონა, ღრმად თვლემდა, როგორღაც შეტოკდა, შეცქვიფდა, მერე ფრთხილად გადმოხტა, დაბლა ცუხცუხით გაირბინა, აივნის წინა დაბალ კედელს გადაევლო, ბალახში მუცელზე ხოხვით გაიარა. აშკარა იყო ჩიტს ეპარებოდა, თუმცა რა, ჩიტი ხომ ფრთხილია, თავს აწევს თუ არა, კისერს აქეთ-იქით შეატრიალებს, გარემოს მიუყურადდა, საფრთხე რომ ვერ იგრძნო კვლავ ბალახი მოკენკა...

კატა ისევ ფრთხილად მიხოხავდა, მერე რა, გულში გამეცინა კიდევაც, არაფერი გამოუვამეთქი.

თითქოს რაღაც ავბედითი იგრძნოო, თითქოს ხიფათი იგუმანა, ჩიტმა ფრთები გაშალა, აფრინდა კიდევაც, იმავ წამს კატამ ავაზისებური ნახტომით თათები უწვდინა, იქვე ჩაბღუჯა, ბრჭყალებით შეათამაშა.

გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, ასეთი რამ ვერ წარმომედგინა, როგორღაც მოჯადოებული მივაჩერდი ავბედით სურათს, უფრო კინოკადრს მინამგვანს, თუ როგორ გაუშვებდა უკვე დაბრჭყალულ ჩიტს კლანჭებიდან, ისიც შეფრინდებოდა, თავგანწირვით შეფრთხიალდებოდა, საცაა თავს უშველისო, მაგრამ კატა ისევ შეხტებოდა, ორივ თათებს მიუწვდენდა, ჩაბღუჯნიდა, აბურთავებდა, მერე ისევ გაუშვებდა.

ცხადზე ცხადი იყო, ბარბაროსი კატა თავისი მსხვერპლის სიკვდილ-სიცოცხლით ტკბებოდა, მსხვერპლის წამება, ისიც ფრთოსნისა, რაღაც წუთების წინ ცის ლაჟვარდშეთამაშებულის, ასე ვერაგულად მოხელთებული განწირულის უსუსურობით ლაღობდა.

გულმა ვერ გამიძლო, შემებრალა საცოდავი ფრინველი, წამოვხტი, ეგრევე ჯოხს მივწვდი და კატას გამოვენთე.

თავისუფლებანაგრძნობი ჩიტი კი შეფრთხიალდა, როგორღაც მიწას მოწყდა, მაგრამ სადღა იყო წეღანდელი სილაღე, სინარნარე, ფრთებს მაინც მიეძალა, იქვე ვაშლის ხის ტოტზე აფრინდა, ჩამოჯდა, თუმცა ცხადი იყო დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა.

გაბრაზებული კატა კი ახლა უკვე მრისხანე ჩაშავებული თვალებით მომაჩერდა და იმ ხისკენ წავიდა, რომლის ტოტს მისგან თავდახსნილი მსხვერპლი შეეფარებინა.

მთაში ფრინველს რა გამოულევს, მომდევნო დღეებში უთუოდ სხვა მოფრინდა, იქნებ იმ ჩიტის და ან ძმა და იგივე სურათი განმეორდა, ოღონდ კატამ ჭკუა ისწავლა, ამჯერად მსხვერპლს მოიხელთებდა თუ არა, უმალ მოფარებულს, ბუჩქს მიაშურებდა და იქიდან გამოსული გოროზად შემომხედავდა, აი, მეო...

ჰოდა, ჩემს კატას სულაც გადაავიწყდა სათაგვეთი. არადა, ოჰ, ეს ფრთები, ვაი, რომ ოცნებაც არ არსებობს უფრთებოდ.

გივი ჯაახუა

„ტოუე მნე, ჩე გევარა“!

ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ რევოლუციისთვის ჯერ არ დაბერებულა.

„ერთხელ ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, რომ უკვე 50 წელს ვუახლოვდები და რევოლუციები ჩემთვის უკვე დაგვიანებულია. მე კი თავს ჯერ მოხუცად არ ვთვლი და დასაკარგიც არაფერი მაქვს. მე არც კაპიტალი, არც ფეშენებელური სახლები და არც პასუხისმგებლობები გამაჩნია. სანამ ადამიანს აქვს სურვილი, რაღაც შეცვალოს, ის ახალგაზრდაა,“ – ამბობს დაცურებული სააკაშვილი.

ალპური გამყოლების გადამზადებას აგრძელებენ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ალპური გამყოლების გადამზადებას აგრძელებს.



მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, ტრენინგი ალპური გამყოლებისთვის „სამთო-სამაშველო ოპერაციები რთულ კლდოვან რელიეფზე“ - მეორე ეტაპი გაიმართა. სწავლება თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფელ ძევერის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა. გადამზადების კურსის მეორე ეტაპი 10 დღე გაგრძელდება, ტრენინგში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 25 სამთო გიდი მონაწილეობდა. ტრენინგის დასრულების შემდეგ კურსის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

ახალი საწარმო ციტრუსის გადასამუშავებლად

აჭარაში ციტრუსის სეზონზე კიდევ ერთი ახალი ციტრუსის მიმღებ დამხარისხებელ-შემფუთავი საწარმო გაიხსნება, რომელმაც 150 000 ლარის ინვესტიცია განახორციელა, რომელიც დღეს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლაშა კომახიძემ დაათვალიერეს. საწარმო ექსპლუატაციაში 15 ნოემბრს შევა და უკვე მზად იქნება ციტრუსის მისაღებად. ქარხანა აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით, რომლებიც ევროსტანდარტების მოთხოვნებს პასუხობს. ასევე საწარმოში სამომავლოდ იგეგმება 100-ტონიანი სამაცივრე მეურენობის მოწყობა.

აღნიშნული საწარმო 24 საათის განმავლობაში შეძლებს 200 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფის მიიღება-დახარისხებას და პარაფინირებას. საწარმოში ციტრუსის შეფუთვა მოხდება ევროსტანდარტების მიხედვით, პალეტებად შეკრულ 15-კილოგრამიან ტევადობის პლასტმასის ყუთებში. საწარმო მიმდინარე წლის ციტრუსის სეზონზე მიიღებს და გადაამუშავებს 3000 ტონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფს, რომელიც რუსეთის და უკრაინის ბაზრებზე იქნა ექსპორტირებული. საწარმოში 40-მდე ადამიანია დასაქმებული.

...ის ყველა ქართველის უსაყვარლესი ადამიანია!

პატრიარქის მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტი გარკვეულ იმედს აჩენს...

„ილია მეორეს მოსკოვში ჩააქვს ქართული ოცნება“, — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას „ნეზავისიმაია გაზეტა“. საუბარია იმ ფაქტზე, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 18 ნოემბერს მოსკოვს უნდა ეწვიოს. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში აცხადებენ, რომ ვიზიტი კერძო ხასიათისაა, მისი მიზანი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, კირილეს 70 წლის აღსანიშნავ იუბილეში მონაწილეობაა.

თუმცა რუსული გამოცემა უფრო შორს მიდის და იდუმალ წყაროებზე დაყრდნობით ასკვნის, რომ ილია მეორეს შეუძლია რუსეთის ყველა წარმომადგენელს შეხვდეს.

სტატიის ავტორი არტურ პრიმაკი აცხადებს, რომ მოსკოვსა და თბილისში დიდი ხანია, შეეჩვივნენ იმას, რომ საქართველოს სულიერი ლიდერის რუსეთში ვიზიტები, მართალია, „კერძო ხასიათისაა“, მაგრამ, ფაქტობრივად, უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე განხორციელებულ შეხვედრებს მოიცავს, რომლის დროსაც მწვავე პრობლემებზე მსჯელობენ.

კერძოდ, რუსი ჟურნალისტის თქმით, ასე იყო 2011 წლის ნოემბერში, როცა პატრიარქ კირილეს 65 წლისთავთან დაკავშირებული ვიზიტის დროს ილია მეორე მოსკოვში დიმიტრი მედვედევს შეხვდა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დევნილთა დაბრუნების საკითხი განიხილა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია ამ ახალგაზრდა დე ფაქტო რესპუბლიკებს დამოუკიდებლად აღიარებს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს მაინც საქართველოს ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიებად მიიჩნევს.

საქართველოს ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკაში დაბადებული, ამჟამად კი „რუსეთის ჯავახკური დიასპორის“ ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი აღასი არაბიანი „ნეზავისიმაია გაზეტა — რელიგიის“ ჟურნალისტთან საუბრისას ამბობს, რომ მოსკოვში ილია II-ის ვიზიტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დათბობის მანიშნებელია:

„ამას მოწმობს, აგრეთვე, საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებაც. მართალია, ამ პარტიის პროდასავლური კურსი და მოქმედება, მათ შორის, აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების საკითხში, არაფრით განსხვავდება მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობისაგან“, მაგრამ, იმავდროულად, „ქართული ოცნება“, „ნაციონალებთან“ შედარებით, რუსეთთან ურთიერთობის განვითარებითაა დაინტერესებული. თბილისში კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთთან კავშირების გარეშე ქართული სახელმწიფო „გემის“ ცურვა შეუძლებელი იქნება. ამიტომაც ქართველები დასავლეთსა და რუსეთს შორის ლავირებენ“.

აღასი არაბიანის თქმით, ილია მეორე საქართველოს არა მარტო სულიერი, არამედ პოლიტიკური ლიდერიცაა. ამიტომ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალები მას შუამავლობას სთხოვენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის პროცესში; ანუ შესაძლოა, ის არაფორმალური დიპლომატის მისიას ასრულებდეს.

„ილია მეორე შეუდარებელი ავტორიტეტით სარგებლობს რუსეთში მცხოვრებ ქართველებში, მას დიდ პატივს სცემენ როგორც რუსეთის ეკლესიის ლიდერები, ასევე რუსი პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები“, — ამბობს აღასი არაბიანი.

სამხრეთ კავკასიის საკითხთა სპეციალისტის ვლადიმერ ზახაროვის აზრით, „კერძო ვიზიტი ხშირად შენიღბვას ემსახურება, მაგრამ ილია II-ს კერძო პირს ვერ ვუწოდებთ, იგი, ფაქტობრივად, სრულიად საქართველოს პრეზიდენტია, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს და მსოფლიოში მცხოვრებ ყველა ქართველს აერთიანებს. უეჭველია, რომ კირილესთან შეხვედრაში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. პრობლემები ბევრია, გადაწყვეტა კი პოლიტიკოსებისაგან არავის შეუძლია. საქართველოს ხელისუფლება ჩიხშია, თბილისმა მოსკოვთან ურთიერთობა თუ არ მოაგვარა, ისე შორს ვერ წავა. დიახ, საქართველო აცხადებს ევროპასთან იდენტობას, ევროატლანტიკურ ინტეგრირებას, მაგრამ რას მიიღებს საქართველო ევროპისგან? ან რას შესთავაზებს საქართველო ევროპას, საკუთარი ტერიტორიის გარდა? ქართული ღვინო და ხილი ევროპას მაინცდამაინც არ სჭირდება, ეს პროდუქცია მხოლოდ რუსეთში იყიდება“.

ვლადიმირ ზახაროვი თვლის, რომ ილია II ნიადაგს მოამზადებს რუსეთ-საქართველოს ფართო სპექტრის კონტაქტებისათვის და, რასაკვირველია, განხილულ იქნება აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონის პრობლემებიც. კერძოდ, დე ფაქტო რესპუბლიკებში არსებული სიტუაცია მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით - იქაური ეკლესიები გარეგნულად ქართული პატრიარქატის დაქვემდებარებაში არიან, მაგრამ, ფაქტობრივად, არ ემორჩილებიან.

ვლადიმერ ზახაროვი არც იმას ივიწყებს, რომ ქართული და რუსული ეკლესიების ლიდერების კონტაქტები ცალმხრივია. ალექსი II-საგან განსხვავებით, რომელიც საკმაოდ ხშირად სტუმრობდა ხოლმე საქართველოს, კირილე, პატრიარქის სტატუსით, ამ ქვეყანაში ჯერ ნამყოფი არ არის.

ექსპერტი გია ხუხაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ რუსი ექსპერტები ძალიან შორს მიდიან, რადგან როგორ შეიძლება ილია მეორე იყოს საქართველოს პოლიტიკური ლიდერი?! ჩვენი პატრიარქი ხომ ყოველთვის ფაქიზად უდგებოდა პოლიტიკის საკითხს და დისტანცირებას ახდენდა პოლიტიკიდან?! თუმცა, გია ხუხაშვილის აზრით, ილია მეორე არის საზოგადოებრივი ლიდერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ლიდერი, რაც მეტ წონას აძლევს მის ვიზიტებს.

ან ურთიერთობის დათბობაზე საუბარი ნაადრევია. ილია მეორის ვიზიტი ნიადაგს მოამზადებს შემდგომი ურთიერთობისთვის და, ცხადია, პატრიარქის ჩასვლას, სახალხო დიპლომატიას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყნებს შორის სისტემური, გადაულახავი პრობლემებია. ამ ყველაფერს კი დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება. საერთოდ, ასეთი კონტაქტების მომხრე ვარ. პირველ რიგში, მტერთან უნდა შეგეძლოს ლაპარაკი, თორემ მეგობრებთან ლაპარაკზე ადვილი არაფერია. პატრიარქი აქ შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც თუნდაც ადამიანურ დონეზე შეხების წერტილებს მოძებნის. რაღაც ტიპის დიალოგი უნდა დაიწყოს, პრობლემებზე უნდა ვილაპარაკოთ და ყალბად არ უნდა ჩავეხუტოთ ერთმანეთს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა“, — აცხადებს გია ხუხაშვილი და განმარტავს, რომ ამ ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ლიდერებს შორის უმაღლეს დონეზე შეხვედრის საფუძველს ვერ ხედავს.

ეკონომიკური ურთიერთობების დაწყება, საპარლამენტო კავშირების აღდგენა შესაძლებელია, მაგრამ სახელმწიფოებს შორის ოფიციალური ურთიერთობის დაწყება ჯერ ნაადრევია.

მანანა ნოზაძე.

საპატრიარქოს დელეგაცია ბრიუსელში

პატრიარქი ამ ვიზიტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს!

საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური დელეგაცია ბრიუსელს ეწვია. 8 ნოემბერს სასულიერო პირებმა შეხვედრები ნატოს სათაო ოფისში გამართეს. ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ, სინოდის წევრებმა, სასულიერო პირებმა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ნატო-საქართველოს ურთიერთობების დინამიკასა და მნიშვნელობაზე იმსჯელეს.

„პატრიარქი ამ ვიზიტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ამ დელეგაციაში ძალიან მაღალი რანგის სასულიერო პირები არიან წარმოდგენილი. ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა ასეთი თბილი შეხვედრა, რომელიც მოგვიწყვეს. საკმაოდ ფართო და დიდი ინფორმაცია მოგვაწოდეს საქართველოსა და ნატოს ურთოერთობასთან დაკავშირებით. ხვალ კი, ალბათ მივიღებთ უფრო მეტ ინფორმაციას სხვა ევროპული სტრუქტურებიდან,“ — განაცხადა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, საქართველოს პატრიარქის ქორეპისკოპოსმა მეუფე თეოდორემ.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს ალიანსის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებთან, ასევე, ეწვივნენ საქართველოს მისიას ნატოში. ალიანსში საქართველოს ელჩმა ალექსანდრე მაისურაძემ სტუმრებთან ნატო-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრა.

ვიზიტი პროექტის „საქართველო და ევროკავშირი“ ფარგლებში ხორციელდება, რომლის მიზანი საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ სასულიერო პირების ინფორმირება და ჩართულობის გაზრდაა. დელეგაცია ბრიუსელს 7 ნოემბერს ეწვია, ვიზიტი 11 ნოემბერს დასრულდება.

პროექტს განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, საქართველოს საპატრიარქოს განათლების სისტემასა და წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრთან პარტნიორობით ახორციელებს. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია დიდი ბრიტანეთის სამეფოს საელჩო საქართველოში.

◎ მომსახურება

„ორი ნაბიჯის“ გაყიდვამდე ორი ნაბიჯია გადასადგმელი?

სავაჭრო ქსელების გამოხშირვა იწყება

საქართველოს **სავაჭრო სექტორში უახლოეს მომავალში შეიძლება, ისეთივე კომბინაციები გათამაშდეს, როგორც ეს ბანკებთან მიმართებით მოხდა. ბაზარს რამდენიმე მსხვილი ქსელური კომპანია დატოვებს და მათ სხვა ობიექტები მიიერთებენ. მსხვილ სავაჭრო ქსელებს პრობლემა მას შემდეგ შეექმნათ, რაც მათი რაოდენობა საოცრად გაიზარდა. ამჟამად ქვეყნის ტერიტორიაზე 15-მდე სუპერმარკეტების ქსელი მოქმედებს.**

გამორიცხული არ არის, სულ მალე მაღაზიათა ქსელი „ორი ნაბიჯი“ გასხვისდეს. გავრცელებული ინფორმაციით, ადმინისტრაცია კომპანიას გასაყიდად ამზადებს და ამ დროისთვის ინვესტორს ეძებს. „ორი ნაბიჯის“ შესაძლო გასხვისებას არ გამორიცხავენ არც სადისტრიბუციო კომპანიები. თავად „ორ ნაბიჯში“ კი ინფორმაციას უარყოფენ და აცხადებენ, რომ კომპანია არ იყიდება და გასხვისებას არც მომავალში გეგმავს.

საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაციის დამფუძნებელი ივა ჭყონიას ინფორმაციით, ბოლო პერიოდის განმავლობაში მიდის მოლაპარაკება რუსული ქსელის საქართველოში შემოსვლაზე და საუბარია ქართული სუპერმარკეტების მიყიდვაზე. გამორიცხული არ არის, რუსული კომპანია „ორი ნაბიჯის“ ყიდვით იყოს დაინტერესებული, თუმცა ჭყონიას აზრით, ნაკლებად სავარაუდოა რუსული კომპანია იმ მასშტაბის ქსელით დაინტერესდეს, როგორიც „ორი ნაბიჯია“.

„შესაძლოა, „ნიკორამ“ იყიდოს „ორი ნაბიჯი“ და გახდეს 300 სუპერმარკეტის მფლობელი. ამის შემდეგ, შესაძლოა, მისთვის საკმაოდ სარფიანი იყოს ამ ბიზნესის გაყიდვა“, — აცხადებს ჭყონია „კომერსანტთან“ საუბრისას.

სუპერმარკეტების ქსელ „ნიკორაში“ გავრცელებული ინფორმაცია „ორი ნაბიჯის“ შესაძლო ყიდვასთან დაკავშირებით უარყვეს. აღსანიშნავია, რომ მის გარშეც „ნიკორა“ ყველაზე დიდი სავაჭრო ქსელია საქართველოში.

ამასობაში „ფურშეტს“ და „ლა ფემილის“ საკმაო პრობლემები აქვს. ამის მიზეზი კი სადისტრიბუციო კომპანიების მიმართ გაუსტუმრებელი ფინანსური დავალიანებაა. სხვათა შორის, მსგავსი პრობლემა არაერთ მსხვილ სავაჭრო ქსელს აქვს.

ჭყონია ამბობს, რომ „ფურშეტი“ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და საკმაოდ კაბალურ სიტუაციაში უწევს ყოფნა, ამიტომ ისიც კი საინტერესოა, აქამდე როგორ მოაღწია. რთულ სიტუაციაშია „ლა ფემილიც“, რომელიც რეალურად უკვე დაიხურა და ქართულ „რითეილ კომპანიად“ გადაკეთდა. კომპანია ამ ეტაპზე ორი მაღაზიითაა წარმოდგენილი, თუმცა, ჭყონიას ვარაუდით, დიდი ალბათობით ეს მაღაზიებიც იგივე ბედს გაიზიარებს.

„ფურშეტი“ დისტრიბუტორებთან ფინანსურ დავალიანებას ადასტურებს, თუმცა დახურვის შესახებ ინფორმაციას უარყოფს.

„კომპანიებთან გარკვეული სახის დავალიანებები არსებობს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ან გაკოტრება გვემუქრება, ან მათთან თანამშრომლობის შეწყვეტა, ან ამის გამო ბაზრიდან გასვლა. დავალიანებები ყველას აქვს, ნებისმიერ საცალო ქსელში მომუშავე კომპანიას აქვს დავალიანება მომწოდებლებთან. უამისოდ არც სავაჭრო სისტემა არსებობს და არც კომპანიებთან თანამშრომლობა“, — აცხადებენ „ფურშეტში“.

კომპანია „ქართული რითეილის“ კომერციული დირექტორი მაკა კვარაცხელია კი აღნიშნავს, რომ „ლა ფემილის“ დახურვა არ არის მოსალოდნელი, მეტიც, ქსელი განვითარებას და ორი ახალი მაღაზიის გახსნას გეგმავს.

ბექა დანელია

◎ იპოთეკური ხაფანგი

უსახლკაროდ რომ არავინ დარჩეს...

ახალდარჩეული **პარლამენტისა და შემდგომ მის მიერ დამტკიცებული მთავრობის ახალი შემადგენლობის, უწინარესად მისი ფინანსურ-ეკონომიკური ბლოკის წინაშე მდგარ გადაუდებლად გადასაწყვეტ ამოცანებს შორის, უდავოდ, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ეს გზა კი, რამდენადაც ვიცით, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე გადის აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით. სხვა შემთხვევაში ისედაც წელგაუმართავი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სრულიად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება, რაც, ამთავითვე, რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს: უსახლკაროდ დარჩენილი, ქონებადაკარგული ხალხის ოდენობა საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება. თუ როგორია ამ მხრივ რეალური სურათი, დანამდვილებით ცნობილი იმ მარტივი მიზეზითაც არ არის, რომ გაჭირვებულ მოქალაქეთა დიდი ნაწილი სესხის ასაღებად, ასე ვთქვათ, „კერძო სექტორს“ მიმართავს, სადაც, ცხადია, არანაირი აღრიცხვა არ იწარმოება, სამაგიეროდ, აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დღესდღეობით ქვეყანაში ეგრეთ წოდებულ „პრობლემურ სესხებთან“ დაკავშირებით 178,5 ათასი ჩანაწერია(!).**

არსებული მონაცემებით, ქონების მესაკუთრეთაგან აღსრულებაზე (ანუ იძულებით გასხვისებაზე) გადაცემული ქონების შენარჩუნებას, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ყოველი მესამე თუ ახერხებს. კომბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თუ კერძო მევახშეების მიერ მოქალაქეებზე გასასესხებელი ფულადი სახსრების გადაუხდელობის მიზეზით ჩამორთმეული უძრავი ქონების ოდენობამ შარშან 1410 ერთეული შეადგინა. ამასთან, გაცილებით უფრო საგანგაშოა სსიპ აღმასრულებელი ეროვნული ბიუროს მონაცემები, რომლებიც 2100-15 წ.წ. პერიოდს მოიცავს: **ხუთ წელიწადში სხვადასხვა გამსესხებელთა მიერ, ქვეყანაში 9378 ფიზიკური თუ იურიდიული პირის უძრავი ქონების ერთეულია გასხვისებული.** ამასთან, ოფიციალურადაც დიდი ხნის წინათაა აღიარებული, რომ მსგავსი მონაცემები აშკარად არასრულია, თან ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ **უძრავ ქონებაზე**. იმ ხალხის ოდენობა, კი ვისაც კიდევ სხვა სახის ქონების იძულებით გასხვისება მოუწია, ლამის ოცჯერ მეტია(!), და 178,5 ათას კაცს აღწევს (წლევანდელი მონაცემები ამ ოდენობაში არ შედის).

არასამთავრობო ორგანიზაციის „საზოგადოება და ბანკების“ კვლევაში აღნიშნულია, რომ შარშან იძულებით აუქციონის წესით გაყიდულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა 1410 ერთეულიდან, კომერციული ბანკების წილად 387 ერთეული (მთელი ოდენობის 27,4 პროცენტი), **მიკროსაფინანსო** ორგანიზაციების წილად 225 ერთეული (16 პროცენტი), ხოლო **კერძო მევახშეთა** წილად 720 ერთეული (51 პროცენტი) მოდის. **სხვა იურიდიული პირების** წილი კი 78 ერთეულს (5,5 პროცენტს) შეადგენს. ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კომბანკის მიერ გაცემული კრედიტებისგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო ფიზიკური პირების მიერ გაცემული სეხსები უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით და „გაცემის გამარტივებული პირობებით“ გამოირჩევა. **ამ დროს მთავარი აქცენტი სესხის უზრუნველყოფაზეა გადატანილი,** ხოლო მსესხებლის მუდმივ შემოსავალსა და, მით უმეტეს, გადახდისუნარიანობას ყურადღება, უკეთეს შემთხვევაში, ნაკლებად ექცევა. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ **ქვეყანაში კერძო მევახშეობის სფეროში აუცილებელია რეგულაციების შემოღება, ამ ტიპის სესხების ერთიანი ბაზის შექმნა, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დონის ამაღლება, რაც ბაზარზე კონკურენტუნარიანობის დონეს აამაღლებს და სესხის აღების პირობების შემსუბუქებას შეუწყობს ხელს.** ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ კერძო პირებისგან ფულად სახსრებს, უმეტესად, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ასევე შემოსავლის საშუალო და დაბალი დონის მქონე პირები იღებენ. მათი პირობები, ხშირ შემთხვევაში, ამ ხალხისთვის უაღრესად არახელსაყრელია, ამდენად, ამ სეგმენტში ურთიერთობათა კანონიერ საფუძველზე დაყენება აუცილებელია, რასაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩამორთმეული უძრავი ქონების მოცულობის შემცირება უნდა მოყვეს, რადგან იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებითი რეალიზაცია როგორც კომბანკებისთვის, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გასესხებული ფულის უკან დაბრუნების უკანასკნელი გზაა, რომელსაც ისინი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ადგებიან.

კერძო მევახშეობასთან ერთად, ბოლო დროს ჩვენში საკმაოდ იზრდება **მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტიურობა, რომელთა ხელში სულ უფრო მეტი მსესხებლის უძრავ-მოძრავი ქონება გადადის. მაგალითისთვის შეიძლება იმის თქმა, რომ მარტო 2016 წლის მარტო პირველ ნახევარში მათ, შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელი თითქმის გაორმაგეს(!).** მოსახლეობის ზარალის დონის შესამცირებლად ექსპერტთა ნაწილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხის სადღეისოდ დადგენილი 50-ათასლარიანი ზღვრის დაახლოებით 15-20 ათას ლარამდე შემცირების აზრს გამოთქვამს, რაც, მათი ვარაუდით, შედარებით წვრილმანი სესხისთვის გირაოში უძრავი ქონების ჩადების შემთხვევებს საგრძნობლად შეამცირებს. ეს გარემოება კი აუცილებლად „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონში უნდა აისახოს.

ზოგადად კი, უძრავ-მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემის სფეროში ერთიანად წესრიგია დასამყარებელი საკანონმდებლო დონეზე, სადაც მითითებული იქნება განმარტებული თუ რა სესხის სანაცვლოდ ქონების ჩადება იქნება ნებადართული გირაოში, რა ქონების პირდაპირ წაღების უფლება ექნება კონკრეტული ტიპის კრედიტის გამცემს, რისთვის აუცილებელი იქნება შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება და ა. შ. თან მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ მთელი ეს იურიდიული ბაზა სავსებით უნდა შეესაბამებოდეს პრაქტიკაში მიღებულ საერთაშორისო ნორმებს. თანაც ეს უაღრესად საშური საქმეა, რომელსაც ახალარჩეულმა პარლამენტმა აუცილებლად ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან ათიათასობით ჩვენი თანამოქალაქის ცხოვრების პირობებს, მათ ბიზნესს უკავშირდება, რასაც უკლებლივ ყველასთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ოთარ ტურაბელიძე

ქართული პროდუქცია მინსკის საერთაშორისო გამოფენაზე

ბელარუსის რესპუბლიკაში, ქალაქ მინსკში, კვების მრეწველობის ყოველწლიური, 22-ე სართაშორისო გამოფენა „პროდექსპო — 2016“ (ProdExpo 2016) გაიხსნა, რომელშიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მესამე წელია, მონაწილეობს. ქართულ სტენდთან საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ ბელარუსის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებს იგორ ბრილოსა და ვლადიმერ გრაკუნის, ასევე ვაჭრობის მინისტრს ვლადიმირ კოლტოვიჩს უმასპინძლა.

აღნიშნულ გამოფენაზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, 14 ქართული კომპანიის პროდუქციის ფართო ასორტიმენტია წარმოდგენილი, მათ შორის, ქართული ღვინო, ნატურალური წვენები და სხვადასხვა ქართული ტკბილეული.

კვების მრეწველობის 22-ე სართაშორისო გამოფენა „პროდექსპო — 2016“ 11 ნოემბრამდე გაგრძელდება. გამოფენაში მსოფლიოს 10 ქვეყნის (ბელარუსია, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ლატვია, საბერძნეთი, სირია, მოლდოვა, იტალია, საქართველო) 200-ზე მეტი კომპანია მონაწილეობს. წელს აღნიშნული გამოფენა ბელარუსის რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა ვლადიმირ კოლტოვიჩმა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიადგილემ ვლადიმერ გრაკუნმა გახსნეს.

ᲜᲐᲥᲐᲚᲐᲓᲔᲕᲨᲘ ᲬᲔᲚᲡ 10 ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ

2016 ᲬᲔᲚᲡ ნაქალადევის რაიონში 10 საბავშვო მოედანი მოეწყო, სადაც სხვადასხვა ტიპის ატრაქციონები დამონტაჟდა. ათივე მისამართზე განხორციელებული სამუშაოებისთვის ნაქალადევის რაიონის გამგეობამ ბიუჯეტიდან 191 600 ლარი გამოყო.

გურამიშვილის №70-ში, საცხოვრებელ კორპუსებს შორის მოწყობილი საბავშვო მოედანი ნაქალადევის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დაათვალიერა. დავით გოგიძე ადგილობრივ მცხოვრებლებს გაესაუბრა და მათი პრობლემები მოისმინა.

საბავშვო მოედნები შემდეგ მისამართებზე მოეწყო: თემქა – მე-11 მ.რ. მე-3 კვ. 58-ე კორპუსის წინ, თემქა – მე-3 მ.რ. 1-ლი კვ. დევნილთა ჩასახლება, თემქა – მე-11 მ.რ. მე-2 კვ. 23-ე კორპუსის მიმდებარედ, თემქა – მე-3 მ.რ. მე-4 კვ. №60-61 კორპუსებთან, გურამიშვილის გამზ. №70, გურამიშვილის გამზ. №30, ნაქალაქევის ქ. №8, გუდამაყრის ქ. №1, არბოს ქ. №2, სანზონის დასახლება მე-2 კორპუსის წინ.

სამუშაოები ნაქალადევის რაიონის გამგეობის დაკვეთით კომპანია „ჯეო პარკმა“ შეასრულა.

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲠᲒᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ მე-7 მ/რ-ის მე-10 კორპუსის მიმდებარედ არსებულ სკვერში გამწვანების აქცია გაიმართა. აქციაზე 30-მდე ძირი ჰორიზონტალური კვიპაროსი დაირგო. ხეების სიმაღლე 3 მეტრია.

გამწვანების ღონისძიებაში გლდანის რაიონის გამგებელმა დიმიტრი ორმოცაძემ, გამგეობის სხვა თანამშომლებთან ერთად, მიიღო მონაწილეობა.

„ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შექმნას. მნიშვნელოვანია, რომ პროცესი მოსახლეობის ინტერესებისა და მომართვიანობის გათვალისწინებით მიმდინარეობს. მსგავსი ღონისძიებები, რაიონის მასშტაბით, თვის ბოლომდე კიდევ არაერთ მისამართზე გაიმართება,“ – განაცხადა გლდანის რაიონის გამგებელმა დიმიტრი ორმოცაძემ.

ახლად დარგული ხე-მცენარეების მონიტორინგსა და მოვლა-პატრონობას გამგეობის გამწვანების სპეციალისტები უზრუნველყოფენ. გარდა ამისა, ხეების მოვლის პასუხისმგებლობა მოსახლეობამაც აიღო.

საშემოდგომო რგვების ფარგლებში ნერგების დარგვა, რაიონის მასშტაბით, კიდევ არაერთ ობიექტზე იგეგმება.

თბილისის მასშტაბით, გამწვანების სეზონური ღონისძიებები ქალაქის შემოგარენსა და ცენტრალურ უბნებში აქტიურ ფაზაშია. თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე 80 000-მდე ხე-მცენარის დარგვა იგეგმება.

ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲜᲓᲐ „ᲛᲐᲦᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ“ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ

ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠᲘ გამწვანების ღონისძიებები დედაქალაქის მასშტაბით გრძელდება. თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ხეები თსუ-ს სტუდენტებთან და პროფესორებთან ერთად, დარგო.

მე-10 („მაღლივი“) კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე 260 ძირი კვიპაროსი და მთის ნეკერჩხალი დაირგო. ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობას კონტრაქტორი კომპანია 4 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს.

ᲞᲝᲜᲢᲘᲣᲡ ᲞᲘᲚᲐᲢᲔ

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ სამყაროს მიერ მრავალგზის შეჩვენებული ანტიგმირი პონტიუს პილატე, რომის პრივილეგიური წოდების – მხედრების წარმომადგენელი იყო. მხედრები (eques) სენატორების მომდევნო საფეხურზე იდგნენ და წარმმართველ როლს ასრულებდნენ „მარადიული ქალაქის“ პოლიტიკურ, ეკონონომიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. მრავალფეროვანი იყო მათი საქმიანობის სფერო: სენატორებთან ერთად ქმნიდნენ რომის სახელმწიფოს მმართველ ფენას, ფლობდნენ ვრცელ მამულებს, ვაჭრობდნენ, კრეფდნენ გადასახადებს, ასრულებდნენ ადმინისტრაციულ თანამდებობებს, გამოირჩეოდნენ დამორჩილებული ხალხების დაუზოგავი ძარცვით. პილატე, რომელმაც საბედისწერო როლი შეასრულა ისტორიაში, არაფრით გამოირჩეოდა პირველი საუკუნის რომის მაგისტრატებისაგან, მაგრამ ჩადენილი დანაშაულით, სამარცხვინო „უკვდავების“ სახელის მატარებელი გახდა.

პონტიუს პილატე იმპერატორ ტიბერიუსის დროს (26 წელს) დაინიშნა იუდეის გამგებლად (ლიტერატურულ წყაროებში მოხსენიებულია პროკურატორად). შორის ურთიერთობის ნორმები დაკანონდა ავგუსტუსის დროს, რაშიც მთავარ როლს პროკურატორი ასრულებდა.

რომაული დაპყრობითი პოლიტიკა ჩვეული დიპლომატიით განიხილავდა „მოკავშირისა და მეგობრის“ საშინაო და საგარეო საკითხებს, ამას რომის მაგისტრატები წარმართავდნენ. ერთ-ერთი ასეთი რიგითი მაგისტრატი იყო პონტიუს პილატე, რომელმაც თავისი „სამართლიანობით“ „უკვდავება“ მოიპოვა (პროკურატორი შედარებით დაბალი რანგის მაგისტრატი იყო, ინიშნებოდა იმპერატორის მფლობელობაში არსებული მცირე პროვინციის გამგებლად).

იუდეის მაგისტრატების მუდმივ ადგილსამყოფელს კესარია წარმოადგენდა, თუმცა ხარკის აკრეფისა და სხვა ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების მიზნით ხშირად უხდებოდათ იერუსალიმში ყოფნა. პილატეს ერთ მორიგ ვოიაჟს დაემთხვა იესოს შეპყრობა იუდეის სასულიერო პირების მიერ, რაშიც მთავარი მსაჯულის როლი ისტორიამ პროკურატორს დააკისრა.

იესო ქრისტე კარგად ცნობილ ეპოქაში ცხოვრობდა. რეალური პირები იყვნენ ჯვარცმის ინიციატორები მღვდელმთავრები ანნა და კაიაფა, პროკურატორი პილატე და სხვ. ევანგელისტების თანახმად, ბრალდება დაფუძნებული იყო სიყალბეზე, რაც შეთხზეს იუდეველმა მღვდელმთავრებმა ქრისტეს სასწაულების საპირისპიროდ. მოსახლეობის დაბალ ფენებში იესოს პოპულარობა სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა ყოვლისშემძლე იუდაისტური ეკლესიის მსახურებს. თუ ახალი იდეები გავრცელდებოდა, ისინი დაკარგავდნენ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული რწმენის უპირატესობას, რაც მათ ძირითად სიმაგრედ ითვლებოდა.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐᲚᲘ

თანამდებობას ასრულებდა 36 წლამდე.

პილატე სისასტიკით გამორჩეული მაგისტრატი იყო. მის უსამართლო ქმედებებზე ხაზგასმით მიუთითებენ არაქრისტიანი ავტორებიც (იოსებ ფლავიუსი, კორნელიუს ტაციტუსი). იგი სიხარბითა და ანგარებით აღემატებოდა იუდეის ყველა წინამორბედ გამგებელს. ითვლებოდა შეუდარებელ გამომძალველად, რომელიც სამართალს უყოყმანოდ ცვლიდა ფულზე. წყაროებში დაცულია მის სადამსჯელო საქმიანობათა სისხლიანი ეპიზოდები, უდანაშაულო ადამიანების სიკვდილით დასჯის ფაქტები. იოსებ ფლავიუსი პილატეს არაადამიანურ ქმედებათა შორის განსაკუთრებით გამოჰყოფს გალილეველების მხეცურ ამოჟლეტას ტაძარში მსხვერპლშეწირვის დროს. უხეშად არღვევდა იუდეველების რელიგიურ წარმოდგენებს, არ ითვალისწინებდა მათ განსხვავებულ შეხედულებებს და რწმენის თავისებურებებს (საბედისწეროდ მხოლოდ ერთხელ დააკმაყოფილა იერუსალიმის ეკლესიის მოთხოვნა, რის წყალობითაც ეშმაკის მსახურის სახელით დარჩა ისტორიაში). პილატეს განუკითხავი გამგებლობა ათი წელი გაგრძელდა (მის მიერ ჩადენილი არაადამიანური ქმედებანი გადმოცემული აქვს იოსებ ფლავიუსს). იმპერიის ხელისუფლებამ პრეფექტს არ აპატია პროვინციის მოსახლეობისადმი გამოვლენილი უსამართლობანი, რომში გაიწვია, გაასამართლა და, როგორც დამნაშავე, გალიაში გადაასახლა. შერისხულ პილატეს უმძიმეს პირობებში უხდებოდა სასჯელის მოხდა. დამამცირებელ მოპყრობას ვერ გაუძლო და „ეკლესიის ისტორიის“ ავტორის ევსევი კესარიელის გადმოცემით, 39 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იმის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ პილატე იუდეაში ჩადენილ დანაშაულს ინანიებდა და ამის გამო გამოუტანა საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი, უბრალოდ უღირს მოპყრობას და დამნაშავის მანტიის ტარებას ვერ გაუძლო.

რომის იმპერიის ხელისუფალთათვის ქრისტეს მოძღვრება უცნობი იყო და პილატესადმი წაყენებულ ბრალდებებში მისი სახელი საერთოდ არც ფიგურირებდა. იგი დაისაჯა იმ დანაშაულთათვის, რასაც სჩადიოდა დაპყრობილ ქვეყანაში.

რომის ბატონობის დამყარების შემდეგ რამდენიმე სამთავროდ დაყოფილი იუდეა, როგორც მოუწესრიგებელი ერთეული, პროვინცია სირიის შემადგენლობაში შედიოდა და პროკურატორების მეშვეობით იმართებოდა.

რომაულმა ადმინისტრაციულმა სისტემამ საკმაოდ ფართო უფლებამოსილება დაუტოვა იუდაისტური რელიგიის მსახურებს. შინაგან მართვა-გამგეობას წარმართავდა სინედრიონი-საბჭო, რომელშიც შედიოდნენ მღვდელმთავრები და საერო წარჩინებულები. სინედრიონის სათავეში იდგა იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავარი. სინედრიონი განსაკუთრებული შეუვალობით სარგებლობდა რელიგიურ საკითხებში, მას რომაელთა კონტროლის ქვეშ შეზღუდული პოლიტიკური და სასამართლო უფლებებიც ჰქონდა.

ადგილობრივ ხელისუფლებასა და რომის იმპერიას

რომის ხელისუფლების წარმომადგენლებთან იესოს შეხების ფაქტი ქრისტიანულ და საერო ლიტერატურაში მინიშნებული არ არის. პონტიუს პილატეს გამრუდებული სამსჯავროს წინაშე იგი იუდაისტური რელიგიის მსახურთა ინიციატივით აღმოჩნდა. ჯვარცმასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი მომენტის ხაზგასმა: ქრისტეს დასჯის ვერდიქტს იუდეველები პილატეს თხოვდნენ, რადგან მათ სიკვდილით დასჯის უფლება არ ჰქონდათ. მაგრამ რომაული შეზღუდვა იოანე ნათლისმცემელზე არ გავრცელებულა.მისი დასჯა ჰეროდე ანტიპამ რომაელთა გვერდის ავლით, ერთპიროვნულად გადაწყვიტა.

ევანგელისტების მოწმობით, იოანე ნათლისმცემელი და იესო ქრისტე ნათესავები და თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ. იოანე იუდაისტურ რელიგიას არ შეხებია და აქედან გამომდინარე, სამღვდელოება მის ქადაგებაში საშიშროებას ვერ ხედავდა. იგი განიკითხავდა კონკრეტულ პირთა ქცევის ნორმებს და დაუფარავად ამხელდა მათ ამორალურ ბუნებას. იოანე ნათლისმცემელი სიცოცხლეს გამოესალმა იმ ადამიანების ხელით, რომლებსაც მოუწოდებდა, დაეცვათ ადამიანური ღირსებები, რაც იმდროინდელ იუდეაში საოცრად შელახული იყო.

იოანე ნათლისმცემლისგან განსხვავებით იესო დაუნდობლად აკრიტიკებდა იუდაიზმის საუკუნოვან ტრადიციებს, რაც ეკლესიის მსახურთა აზრით, ღვთის გმობას ნიშნავდა.

იუდეის მღვდელმსახურთა გააფრთებული წინააღმდეგობა განაპირობა იმ საყოველთაო პოპულარობამ, რასაც იესოს ქადაგება იხვეჭდა მოსახლეობის ფართო ფენებში. ქრისტეს სასწაულქმედებანი ვრცლად აქვთ აღწერილი სახარების ავტორებს, მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა არაქრისტიანი მწერლების თხზულებებში დაცული ცნობები. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იუდეველი ისტორიკოსის **იოსებ ბენ მატაფიას (იოსებ ფლავიუსის)** ვრცელ ნაშრომს **„იუდეის სიძველენი“**. თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, თუმცა თვისტომთა მიერ მოღალატედ შერაცხილი **იოსებ ფლავიუსი, როდესაც პონტიუს პილატეს გამგებლობას ეხება, წერს: „ამ დროის ახლოს ცხოვრობდა იესო, ადამიანი ბრძენი, თუ შეიძლება საერთოდ ადამიანი ეწოდოს. მან შეასრულა გასაოცარი საქმეები და გახდა დამრიგებელი იმ ადამიანებისა, რომლებმაც ხალისით მიიღეს ჭეშმარიტება, მიიზიდა მრავალი იუდეველი და ელინი. იგი იყო ქრისტე. ჩვენი გავლენიანი პირების მოთხოვნით, პილატემ მიუსაჯა ჯვარცმა, მაგრამ იმათ, ვისაც იგი უყვარდა ადრე, არ უარუყვიათ. მესამე დღეს იგი კვლავ გამოეცხადა მათ ცოცხალი, როგორც გვამცნობენ მასზე და მის მრავალ საოცრებაზე ღვთით შთაგონებული წინასწარმეტყველები. დღემდე არსებობენ ეგრეთ წოდებული ქრისტიანები, უწოდებენ თავს ამ სახით, მისი სახელის მიხედვით (იუდეის სიძველენი, XVIII, 3).**

ანტიკური ისტორიის მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ იოსებ ფლავიუსის თხზულებაში მოცემული მსჯელობა იესო ქრისტესა და ქრისტიანების შესახებ, წარ-

სხვისი სამართლით

მოადგენს გვიანდელ ინტერპოლაციას და ავტორად ასახელებენ ქრისტიან მწერალს. იოსებ ფლავიუსის ავთენტურობის სასარგებლოდ მეტყველებს ის რეალობა, რომ იგი მოკლე ინფორმაციით კმაყოფილდება. ქრისტიანი მწერალი თხრობას ამ ფორმით არ წარმართავდა და მაცხოვრის ჯვარცმაში მთავარ ფიგურას პონტიუს პილატეს სხვა სიტყვებით დახატავდა.

იოსებ ფლავიუსი იესო ქრისტეს თანამედროვე იყო (დაიბადა 37 წელს, გარდაიცვალა 100 წელს). ქრისტეს ჯვარსმცმელები იოსების მასწავლებლები იყვნენ. იუდაიზმის აღმსარებელი იოსებ ბენ მატაფია ქრისტეს შესახებ მეტს ვერ იტყოდა, რადგან ჯვარცმა ჩაიდინეს მისმა სულიერმა წინამორბედებმა.

იოსებ ფლავიუსი ქრისტეს სახელს ჯვარცმიდან 30 წლის შემდეგაც **ახსენებს. მისი სიტყვებით იერუსალიმის მღვდელმთავარმა ანანმა შეადგინა არასასურველ პირთა სია, „შეკრიბა სინედრიონი და წარუდგინა იაკობი, იესოს ძმა, წოდებული ქრისტედ“**. ანანი კანონების დარღვევის ბრალდებით გამოდიოდა და მოითხოვდა სამართალში მიცემულთა ჩაქოლვას. იერუსალიმის გავლენიანი პირები წინ აღუდგნენ ანანის განზრახვას და იაკობი და სხვა ბრალდებულები ახალდანშნულ პროკურატორს ალბინუსს გაათავისუფლებინეს.

კორნელიუს ტაციტუსი კაცთმოძულე ნერონის მიერ დატრიალებული ხოცვა-ჟლეტის აღწერისას გადმოგვცემს, რომ რომში გაჩენილ ხანძარში იმპერატორმა დამნაშავეებად გამოაცხადა ქრისტიანები. მემატიანის სიტყვებით, „ქრისტე, რომლის სახელიდანაც წარმოიშვა ეს სახელწოდება, დასაჯა პროკურატორმა პონტიუს პილატემ ტიბერიუსის დროს“ (ანალები, XV, 44). ამ მწირ ინფორმაციას ტაციტუსი უმატებს ქრისტიანების საოცარად უარყოფით დახასიათებას, რომელშიც გამოკვეთილად ჩანს ანტიქრისტიანული პროპაგანდის ძლიერი გავლენა. საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ ამ პროპაგანდას ეწეოდნენ იუდაისტური რელიგიის წარმომადგენლები (ერთ-ერთ ვერსიად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ისიც, რომ ქრისტიანების საწინააღმდეგო მოქმედება იუდეველების იმ დიპლომატიური მისიის (63 წელს) ამოცანებში შედიოდა, რომლის შემადგენლობაში იყო იოსებ ფლავიუსი).



სვეტონიუს ტრანკვილუსი „ნერონის ცხოვრებაში“ ყოველგვარი კომენტარების გარეშე წერს, „დაისაჯნენ ქრისტიანები, ახალი ბოროტი ცრურწმენის მიმდევრები“ (ნერონი, 16).

იესო ქრისტეს ქადაგებაში იუდეის სასულიერო პირებმა მოსეს რჯულის უარყოფისა და ღვთის გმობის სერიოზული ნიშნები დაინახეს. ეს კი მათი აზრით, სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებდა.

სახარების ავტორები ვრცლად მოგვითხრობენ მაცხოვარის მიწიერი ცხოვრების ამაღლებულ და ღვთაებრივ თვისებებზე, მრავალ სასწაულზე, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე სჩადიოდა. იესოს სახელი და დიდება ფართოდ ვრცელდებოდა. იუდეველების გარდა მის ხილვას ესწრაფოდნენ ელინებიც. მღვდელმთავრების შეშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ ქრისტეს სასწაულები საფრთხეს უქმნიდა იუდაისტურ ეკლესიას. ყოველივე ეს მღვდელმთავართა შეურიგებლობას ზრდიდა. ლაზარეს აღდგინება ბოლო წვეთი იყო. იესოს დიდებით მოსილი ტრიუმფი უნდა შეეჩერებინათ. ქადაგების მესამე წელს იუდაისტური ეკლესიის მსახურებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იესო, როგორც მტერი, გაენადგურებინათ. შეთხზეს ბრალდებათა რიგი და შეუდგნენ განზრახვის შესრულებას. ბოროტი მიზნის განხორციელებაში მათ დაეხმარა ქრისტეს თორმეტი მოწაფიდან ერთ-ერთი — იუდა ისკარიოტელი, რომელმაც ოცდაათ ვერცხლად გასცა მოძღვარი და მიანიშნა მისი ადგილსამყოფელი. შეიარაღებულმა რაზმმა მაცხოვარი შეიპყრო. სასამართლო შედგა მღვდელმთავარ კაიაფას სახლში, სადაც ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მისი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა იუდაისტური ღვთისმსახურების მოთხოვნებს, რისთვისაც სიკვდილს იმსახურებდა.

რომის იურისდიქციაში მოქცეულ ქვეყნებში დამნაშავის გაუსამართლებლად დასჯა დაუშვებელი იყო. იუდეის მარიონეტულ სამეფოებს სიკვდილ-სიცოცხლესთან დამოუკიდებელი მოქმედების უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ. საბოლოო განაჩენი უნდა გამოეტანა რომის ხელისუფლების წარმომადგენელს. ამის გამო, სინედრიონმა ცრუ ბრალდებებით გაიმაგრა პოზიციები და საბოლოო ვერდიქტის გამოსატანად იესო, როგორც უმძიმეს დანაშაულში მხილებული, იუდეის პროკურატორს პონტიუს პილატეს წარუდგინა. პილატემ არც ქრისტეს არსებობა იცოდა და არც ის საკითხები აინტერესებდა, რის შესახებაც ასე თავგამოდებით იბრძოდნენ იუდეის სასულიერო პირები.

პილატე იერუსალიმის ეკლესიის მეთაურთა გააქტიურებას შიდა რელიგიურ უთანხმოებად განიხილავდა. დავაში ჩართვა მის ფუნქციებში არ შედიოდა, რადგან მსგავსი დაპირისპირება რომაულ ბატონობას საფრთხეს არ უქმნიდა. ამის მიუხედავად, იგი ცდილობდა იუდეის გავლენიანი ეკლესიის კეთილგანწყობის შენარჩუნებას და ამ მიზნით ჩაერთო მისთვის უმნიშვნელო დავაში, რომელმაც ყველაზე „სახელოვანი“ მკვლელის მარადიული სახელი დაუმკიდრა.

სახარების ავტორების მიხედვით, პილატე არ გამოიყურება ბოროტების განსახიერებად. თხრობის დასაწყისში იგი ლმობიერი და სამართლიანი მსაჯულის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც რამდენჯერმე გაუმეორებს იუდეველებს, რომ მის მიერ ჩატარებული გამოძიებით, ბრალდებული უდანაშაულოა.

იუდეველებმა პროკურატორს წარუდგინეს იესოს ბრალდებათა ვრცელი ჩამონათვალი, ცილისმწამებლების მთავარი არგუმენტი იყო იმის ხაზგასმა, რომ იესო აქეზებდა ხალხს (იგულისხმებოდა რომის წინააღმდეგ). ბოროტგანმზრახველები ვარაუდობდნენ, რომ ამ ბრალდებით გაზრდიდნენ პროკურატორის დაინტერესებას, მაგრამ პროცესის საწყის ეტაპზე პილატეს, როგორც სამართლიანობის დამცველის, დაძლევა ძნელი აღმოჩნდა. იოსებ ფლავიუსისა და კორნელიუს ტაციტუსის დახატული ბოროტი სული სახარების ავტორებთან საკმაოდ ჰუმანურად გამოიყურება. იგი ბრალმდებლებს უცხადებს: „თქვენ ეს **კაცი ჩემთან მოიყვანეთ, როგორც ხალხის წამქეზებელი, მე თქვენს წინაშე გამოვიძიე და ვერავითარი დანაშაული ვერ ვპოვე ამ კაცში, რაშიც ადანაშაულებთ მას... სიკვდილის ღირსი არაფერი ჩაუდენია მას“ (ლუკა, 23, 13, 15). ანალოგიურ ფაქტს ადასტურებს სახარების ყველა ავტორი.**

ევანგელისტების თანახმად, პილატეს სასამართლოზე იესოს თავის დაცვა არ უცდია. კითხვებსაც არ პასუხობდა. **ისინი პირდაპირ მიუთითებენ, პილატე გრძნობდა, რომ იესო უდანაშაულო იყო და მღვდელმთავრებს შური ამოძრავებდათ, ცილს სწამებდნენ, რომ იგი თავს იუდეველთა მეფეს** უწოდებდა, ყალბისმქმნელები ღვთისგმობას უმატებდნენ, რომ თითქოს იესო ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებდა. პილატე შეეცადა იესოს დაცვას. იგი ხედავდა ბრალდების არარეალურობას (გასათვალისწინებელია, რომ იმპერიის პირველ საუკუნეებში რელიგიური შემწყნარებლობა დაშვებული იყო, რომში შეუზღუდავად ვრცელდებოდა აღმოსავლური კულტები).

პილატე დარწმუნებული იყო, რომ მის წინაშე უდანაშაულო ადამიანი იდგა და ცდილობდა მის დაცვას, მაგრამ მღვდელმთავრების მიერ წაქეზებული ბრბო არ უსმენდა და ყვიროდა „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგე!“

„პილატემ, რაკი დაინახა, რომ ვერაფერს შველის, არამედ შფოთიც კი იწყება, აიღო წყალი, ხელები დაიბანა ხალხის წინაშე და თქვა: „მე უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისაგან. თქვენ იცით“.

მთელმა ხალხმა მიუგო პასუხად: „ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი“ (მათე, 27, 24, 25).

იუდეის მრისხანე გამგებელი ფაქტის წინაშე საკმაოდ უძლურად გამოიყურება. დარწმუნებულია, რომ იესო იყო უდანაშაულო, მაგრამ ვერ დაძლია იუდეველების უსამართლო სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება.

ევანგელისტების მტკიცებით, იუდეის სასულიერო პირებმა აიძულეს პილატე, გაეცა იესოს დასჯის ბრძანება, თანაც იმ ფორმით, რომელსაც არ იცნობდა რომაული სამართალი, მაგრამ ტრადიციული იყო სემიტური მოდგმის ხალხებში. **„ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!“** ყვიროდნენ მღვდელმთავრები და მათ მიერ მოსყიდული ხალხი. „პილატე შეეცადა, დაერწმუნებინა მსმენელები, რომ მათი მოთხოვნა არ იყო სამართლიანი, მაგრამ იუდეველები აყვირდნენ და თქვეს: **თუ ამას გაათავისუფლებ, არა ხარ მეგობარი კეისრისა, რადგან ვინც მეფედ ხდის თავს, კეისარს ეწინააღმდეგება“**. ეს იყო უკანასკნელი არგუმენტი, რომელმაც პროკურატორს ხელი ააღებინა იესოს დაცვაზე. იუდეველებმა კიდევ ერთხელ მიანიშნეს პილატეს, რომ იგი არ ასრულებდა თავის მოვალეობას. მის კითხვაზე „თქვენი მეფე ვაცვა ჯვარს?“ მღვმდელმთავრებმა უპასუხეს: **„ჩვენ არ გვყავს მეფე, კეისრის გარდა“**.

ევანგელისტებს აღწერილი აქვთ ჯვარცმის შემზარავი სცენა: სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფების ნიაღვარი (პილატეს გარდა, უკანონო სასჯელში ეჭვი არ ეპარებოდათ რომაელ ჯარისკაცებსაც. ლუკა წერს, **„ასისთავმა რომ იხილა მომხდარი, თქვა: ჭეშმარიტად მართალი იყო ეს კაცი“**).

იესოს გვერდით ჯვარს აცვეს ორი ბოროტმოქმედი. იყო პარასკევი. იუდეური ტრადიციით დასჯილები შაბათისათვის ჯვარზე არ უნდა დარჩენილიყვნენ. მივიდნენ პილატესთან და სთხოვეს, **„წვივები დაემტვრიათ მათთვის და ჩამოეხსნათ“**. ჯარისკაცებმა ბრძანება შეასრულეს, ჯვარცმულ ავაზაკებს წვივები გადაუმტვრიეს. **როდესაც იესოსთან მივიდნენ,“ დაინახეს, რომ უკვე მომკვდარიყო, აღარ გადაუმტვრიეს წვივები. მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა ფერდი.** ჯვარცმულები დაღამებამდე დაკრძალეს.

მახარებელი მათე სხვა ავტორებისაგან განსხვავებულ ვერსიას გადმოგვცემს **„მეორე დღეს, რომელიც მოსდევს პარასკევს, მღვდელმთავარნი და ფარისეველნი შეიკრიბნენ პილატესთან: „თქვეს“, ბატონო, გაგვახსენდა, რომ იმ მატყუარამ, სანამ ცოცხალი იყო, თქვა: სამი დღის შემდეგ აღვდგებიო.**

ამიტომ უბრძანე, მესამე დღემდე უყარაულონ სამარხს, რომ არ მოვიდნენ მოწაფეები, არ მოიპარონ იგი და ხალხს არ უთხრან: მკვდრეთით აღდგაო. უკანასკნელი ტყუილი პირველზე უარესი იქნება.

უთხრა მათ პილატემ:“თქვენ გყავთ დაცვა. წადით და უდარაჯეთ, როგორც იცით“.

ისინი წავიდნენ, სამარხი უსაფრთხო ჰყვეს:დაბეჭდეს და დაცვა დაუყენეს“.

მათე კიდევ უფრო ამწვავებს თხრობას. მისი გადმოცემით, როდესაც ქრისტეს აღდგომის ხმები გავრცელდა, მღვდელმთავრები „შეიკრიბნენ უხუცესებთან ერთად, მოითათბირეს და დიდძალი ვერცხლი მისცეს ჯარისკაცებს და უთხრეს: თქვით, მისი მოწაფეები მოვიდნენ ღამით და მოიპარეს იგი, როცა ჩვენ გვეძინა... მათაც აიღეს ვერცხლი და ისე მოიქცნენ, როგორც დაარიგეს. გავრცელდა ეს ნათქვამი იუდეველებს შორის დღევანდელ დღემდე“ (მათე, 28, 11-15).

ევანგელისტების დახატული პილატე მსხვერპლის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც რომაული ხელისუფლების წარმომადგენელი, ვალდებული იყო დაეცვა უზენაესი მსაჯულის სტატუსი, მაგრამ იმავე დროს ვერ გადალახა იუდეის ეკლესიის მიერ წარმოდგენილი ცრუ ბრალდება. პილატეს განაჩენი არ გამოუტანია რომაული კანონმდებლობის ნორმების დაცვით, იუდეის პროკურატორი მოქმედებდა სხვისი სამართლით და ცხადია, ასეთი მსაჯული ობიექტური ვერ იქნებოდა. პონტიუს პილატეს განაჩენს განაჩენი ისტორიამ გამოუტანა და ბოროტი სულის სახელი დაუკანონა.

გრანი ქავთარია

P. S. პონტიუს პილატე ლიტერატურაში (ზოგჯერ სერიოზულშიც) მოხსენიებულია „პილატე პონტოელად“. მსგავსი სახელდება სინამდვილისაგან შორს დგას. სრული გაუგებრობაა „პონტოელი“. პროკურატორის საკუთარი სახელი ცნობილი არ არის. პონტიუსი (Pontius) იყო გვარი, პილატე (Pilatus), მემკვიდრეობით მიღებული შერქმეული სახელი ნიშნავს შუბოსანს. ვარაუდობენ, რომ მისი წინაპრები იყვნენ სამნიტები. პილატეს პონტოს (შავ) ზღვასთან (Ponntos Euxeinos) შეხება არ ჰქონია. უზუსტობა გადადის წიგნიდან წიგნში და ფართოდ იხმარება ზეპირი მეტყველების დროსაც. ქრისტიანული ეკლესიის მიერ მრავალგზის შეჩვენებულსა და წყევლა კრულვით მოხსენიებულ პილატეს უბედურებად საკუთარი გვარიც ეყოფა. მცდარად მისადაგებული „პონტოელი“, უნდა ჩამოვაშოროთ, პილატე დავტოვოთ პილატედ, „პონტოელის“ გარეშე.

გ. ქ.

◎ ჭადრაკი

ძალა ალმართს ხნავს

ევროპელ მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატში, რომელსაც სერბული ნოვი სადი მასპინძლობს, მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. ინტერესს იწვევდა ლიდერების – ბათუმის „ნონას“ და „მონტე კარლოს“ შეხვედრა. ვარსკვლავებით დახუნძლულმა „მონტე კარლომ“ ერთი ქულის უპირატესობით აჯობა ზღვისპირელებს: პირველ დაფაზე ნანა ძაგნიძემ შავი ფიგურებით მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ჰოუ იფანთან წააგო. ასევე, შავი ფიგურებით მესამე დაფაზე ბელა ხოტენაშვილმა პარტია დათმო მსოფლიოს ექსჩემპიონ მარია მუზიჩუკთან, სალომე მელიამ ორგზის ევროპის ჩემპიონ პია კრამლინგს გააჩერებინა საათი, ნინო ბაციაშვილი კი ანა მუზიჩუკს შეუთანხმდა ყაიმზე, საბოლოოდ „მონტე კარლომ“ 2.5:1.5 გაიმარჯვა და 6 ქულით რუსეთის “„იუგრასთან“ ერთად ლიდერობა შეინარჩუნა.

დანარჩენი შეხვედრები: „პეტერბურგი“ (რუსეთი) – „იუგრა“ (რუსეთი) 1:3, „ოდლარ იურდუ“ (აზერბაიჯანი) – „ლაციო“ (იტალია) 2.5:1.5, „გორაჩიჩი“ (სერბეთი) – „ფიშერის კლუბი“ (იტალია) 2:2, „ლადია“ (ყაზანი) – „მოსკოვი“ (რუსეთი) 2.5:1.5, „მიდლენდი“ (ინგლისი) – „კაუნასი“ (ლიტვა) 2:2, „რიშონი“ (ისრაელი) – „ავსტრია“ 1:3.

სამი ტურის შემდეგ: „მონტე კარლო“, „იუგრა“ – 6-6, „ნონა“, „ოდლარ იურდუ“, „ლადია“ – 4-4, „გორაჩიჩი“, „ფიშერის კლუბი“, „კაუნასი“ – 3-3, „ლაციო“, „პეტერბურგი“, „მოსკოვი“, „ავსტრია“ – 2-2, „მიდლენდი“ – 1, „რიშონი“ – 0 ქულა.

ვაჟებში 6-6 ქულით „ჟიგული“ (რუსეთი), „ალკალოიდი“ (მაკედონია), „სიბერია“ (რუსეთი), „სვეტი“ (სერბეთი) და „მედნი ვსადნიკი“ (რუსეთი) დაწინაურდნენ.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

პირველი ბარიერი გადალახეს

დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით აიღეს სტარტი მარიამ დალაქიშვილმა და ზურა ტყემალაძემ.

მარიამ დალაქიშვილი

გოგონებში **მარიამ დალაქიშვილი** მეორე ნომერია. მან სტარტზე კატერინა ზადოროჟნა (უკრაინა) ჩამოიშორა გზიდან - 6:2, 6:1 და მერვედფინალში დალია აჰმედს (ეგვიპტე) შეხვდება. ამ უკანასკნელმა ალექსანდრა მირონოვას (რუსეთი) აჯობა – 6:4, 5:7, 6:2. წყვილებში დალაქიშვილმა და ზოია ქარდავამ (რუსეთი) პირველ წრეში ვიპაშა მეჰრა (ინდოეთი) და ლარა შმიდი (გერმანია) დაამარცხეს – 6:1. 6:0. მომდევნო წრეში ისინი უნგრელებს – ტიმეა ვიშონტაისა და რეკა ზადორის გაუწევენ მეტოქეობას.

ვაჟთა ერთეულებში **ზურა ტყემალაძემ** ისა შანან ალ ჰარასი (ყატარი) დაამარცხა - 6:3, 6:2. მერვედფინალში ჩვენებურს ფინელი მეშვიდე ნომერი ოტო ვინტანენი გაუწევს მეტოქეობას. წინა კვირას საამიროებშივე ფუჯაირახის თასის გათამაშებაზე ზურა ტყემალაძემ წყვილებში ეგვიპტელ ადამ გაბერთან ერთად გადამწყვეტი პაექრობა მეორე ნომრებთან – მერთ ალქაიასა და ბორა სენგულთან (ორივე – თურქეთი) დათმო – 1:6, 2:6. ქართველ ჩოგბურთელს რევანშის შანსი მიეცა: დუბაის ახალგაზრდული ტურნირის წყვილთა პაექრობებში ისევ გაბერთან ერთად სტარტზე ირაკლის გერუსისი (საბერძნეთი)-ტრისტან ტიბაუტის (საფრანგეთი) ტანდემი დაამარცხა – 6:4, 6:2. მეოთხედფინალში მეოთხე ნომრად განთესილ მერთ ალქაიას და ბორა სენგულს დაუპირისპირდება.

ლექსო ცინცაძე

◎ მხატვრული ტანვარჯიში

სალომე ურუშაძე რგოლით ვარჯიშისას

ფერიებში გამორჩეული

თურძულმა იზმირმა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. შეჯიბრებაში შვიდი ქვეყნის ფერიები მონაწილეობდნენ. უფროსებში ნელი სალაძის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის აღსაზრდელმა სალომე ურუშაძემ მრავალჭიდში რუსი და უკრაინელი სპორტსმენების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, ლენტით ვარჯიშში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ტურნირის ბოლოს კი ქართველი გოგონა ერთხმად აღიარეს შეჯიბრების ულამაზეს მონაწილედ და „მის ტურნირის“ გვირგვინით შეამკეს.

12-წლიანებში ნუცა ჯანაშვილმა სამი ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა: მან მრავალჭიდში, ბურთითა და გურზებით ვარჯიშში მესამე ადგილები დაიკავა, ხოლო უმცროს ასაკში თათია თეთრაძემ სახტუნაოთი ოქროს მედალი დაიმსახურა.

თამაზ ნარიმანიძე

◎ წყალბურთი

ოთხი ტური მოილიეს

წლეულს გაზაფხულზე 1999-2000 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობაში 10 გუნდი ჩაება. ერთწრიანი პაექრობების შემდეგ გამოვლინდა ის ექვსი გუნდი („არენა“, „ივერია“, „აკადემია“, „საჩხერე“, „თბილისი“ და „ბათუმი“), რომლებიც მედლებისთვის იბრძოლებენ, დანარჩენი ოთხი გუნდი („ქუთაისი“, „დიღომი“, „ტონუსი“ და „სპექტრი“) მეშვიდე-მეათე ადგილებისთვის თამაშობს. მეორე წრის პირველი ორი ტურის შედეგები უკვე გაუწყეთ. ახლა კი მესამე-მეოთხე ტურების ანგარიშებს გაგაცნობთ:

კაპიტონის მომენტი

III ტური. „დიღომი“ – „ტონუსი“ 18:5, „თბილისი“ – „აკადემია“ 15:10, „ბათუმი“ – „ივერია“ 4:19, „არენა“ – „საჩხერე“ 10:10.

IV ტური. „თბილისი“ – „ბათუმი“ 17:6, „ივერია“ – „საჩხერე“ 9:9, „არენა“ – „აკადემია“ 16:6, „ქუთაისი“ – „ტონუსი“ 15:7.

ოთხი ტურის შემდეგ:

A ჯგუფი. „ივერია“ – 7 (60:28), „არენა“ – 7 (50:29), „საჩხერე“ – 6 (55:44), „თბილისი“ – 4 (49:38), „აკადემია“ – 0 (37:70), „ბათუმი“ – 0 (25:67) ქულა.

B ჯგუფი. „დიღომი“ – 4 (35:9), „ქუთაისი“ – 2 (23:1), „ტონუსი“ – 0 (5:18), „სპექტრი“ – 0 (5:30).

ნინო ციბაძე

◎ ხელბურთი

საერთაშორისო ფედერაციის თასზე

ქუთაისში ევროპის 20-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა შვიდი ქვეყნის ნაკრებმა მოიყარა თავი. ისინი სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის თასის (IHF) გათამაშებაში მონაწილეობენ. 2010 წლიდან ეს შეჯიბრება კონტინენტის ზონალური ასპარეზობაა, რომლის გამარჯვებულიც სხვა კონფედერაციების ჩემპიონებთან ერთად ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (IHF) ინტერკონტინენტალური თასისთვის იბრძვის.

ქუთაისური ბატალიებიდან A ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით – 55:10 დაამარცხა ალბანეთის გუნდი. საგულისხმოა, რომ მასპინძელთაგან, მეკარეების გარდა, გოლი ყველა მოთამაშემ გაიტანა. 12 ბურთით გიორგი დიხამინჯია გამოირჩა. საქართველოს ნაკრებმა გუშინ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზურაბ ცინცაძე, სანდრო ხანდოლიშვილი, ხაზეინ რუსტამოვი (9), კარლო მათნაძე (6), ზეზვა იობაშვილი (1), თემურ ორჯონიკიძე (7), ზურაბ გოგავა (3), გიგა ბაინაზიშვილი (4), გიორგი ცხოვრებაძე (4), გიორგი დიხამინჯია (12), ირაკლი გოგოლაძე (3), ერეკლე არსენაშვილი (2), გიორგი მიქავა (2), გიორგი ლაპიაშვილი (2), მწვრთნელები – ბექა ორჯონიკიძე, ტიტე კალანდაძე, გუნდის უფროსი ჯემალ ბარამიძე.

A ჯგუფში დიდი ბრიტანეთის ნაკრებმა სომხეთს მოუგო 33:14, ხოლო B ჯგუფში კოსოვოს და მოლდოვას დაძაბული პაექრობა ფრედ – 27:27 დასრულდა.

ლაშა დიდია

ორივე მატჩი სტუმრებმა მოიგეს

თბილისის „მამულის“ ხელბურთელ გოგონათა გუნდი, რომელიც საქართველოს 18-წლამდელ სპორტსმენთა ნაკრების ბაზაზეა დაკომპლექტებული, პირველად ითამაშებს ევროტურნირებზე – 19-20 ნოემბერს სპორტის სასახლეში ჩელენჯ-კაპის მეთექვსმეტედფინალში ორჯერ უმასპინძლებს ჩეხეთის „სოკოლ პორუბას“. ამავე ტურნირში მონაწილეობს ბაქოს „აბუ“ – 12-13 ნოემბერს შინ ბელგიის „ფემინა ვიზეს“ ეთამაშება. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადების მიზნით ქართველმა და აზერბაიჯანელმა ხელბურთელებმა თბილისის სპორტის სასახლეში ორი ამხანაგური მატჩი გამართეს. პირველ შეხვედრაში უფრო გამოცდილმა ბაქოელებმა 31:18 გაიმარჯვეს. სტუმრებმა მეორე პაექრობაშიც მიაღწიეს წარმატებას, ამჯერად 25:18, არადა, 50-ე წუთისთვის ანგარიშში სხვაობა მხოლოდ ორი ბურთი იყო – 15:17.

„მამული“ – „აბუ“ 18:25

„მამული“: ჩაჩუა, ვარდიშვილი, ჯავახია, ქიტესაშვილი – 6, კუნელაშვილი – 4, ყველაშვილი – 4, ესმანოვიჩი – 1, ჩოხელი – 1, ლისენკო – 1, გადელია – 1, ჩირგაძე, ჭკუასელი, ვენეცკი, მწვრთნელები – გვაზავა, მარგიანი.

„მამულისა“ და „აბუს“ შეხვედრის მომენტი

„აბუ“: მ. მუსაევა, ნურიევა, ჰ ასანოვა, გასიმოვა – 7, მ. აბასოვა – 4, მეტელსკაია – 4, მამედოვა – 3, ალიევა – 2, ორეხოვა – 1, ს. აბასოვა – 1, გორნაკი – 1, იუსიბოვა – 1, შარიფოვა – 1, კალმიკოვა, ს. მუსაევა, მწვრთნელები – შაბანოვა, ვორონოვი, ჯაფაროვა.

მსაჯები: შ. სტურუა, ლ. ოსიყმაშვილი

ეკა ციკვაძე

◎ ჭიდაობა



ბუქარესტსა და ბაქოში

რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი 18-19 ნოემბერს ჭიდაობაში ევროპის ერთა თასს უმასპინძლებს, 24-26 ნოემბერს კი ბაქოში ჰეიდარ ალიევის ოქროს გრანპრის ფინალური ეტაპი გაიმართება. ევროპის ერთა თასზე მონაწილეობის უფლება ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით თითოეულ სტილში ექვსმა საუკეთესო ნაკრებმა მოიპოვა. თავისუფალ ჭიდაობაში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან საქართველო, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, რუმინეთი. ჩვენი ქვეყნის ნაკრები ბუქარესტში ასეთი შემადგენლობით გამოვა: 57კგ – ბექა ბუჯიაშვილი, ოთარ გოგავა, 61კგ – ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ბექა ლომთაძე, 65კგ – ზურაბ იაკობაშვილი, კონსტანტინე ხაბალაშვილი, 70 კგ – დავით ტლაშაძე, 74კგ – იაკობ მაქარაშვილი, ზურაბ ერბოწონაშვილი, 86კგ – სანდრო ამინაშვილი, ირაკლი მწითური, 97კგ – ელიზბარ ოდიკაძე, 125კგ - გენო პეტრიაშვილი, გიორგი მეშვილდიშვილი. მწვრთნელები – დავით პოღოსიანი და არჩილ ქიტიაშვილი.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში პირველობისთვის იბრძოლებენ: რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქეთი, რუმინეთი და საქართველო. „კლასიკოსები“ რუმინეთში წამსვლელთა ვინაობას მოგვიანებით დაასახელებენ.

აზერბაიჯანის დედაქალაქის ფინალურ გრანპრიზე მხოლოდ ევროპის, მსოფლიოს ან ოლიმპიადის მედალოსნებს იწვევენ, თუმცა, ლიცენზირებული სპორტსმენის შეცვლა შეიძლება. თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ: **57კგ – ოთარ გოგავა, 61კგ – გიორგი რევაზიშვილი, 70კგ – დიმიტრი ბასილაშვილი, 74კგ – ავთანდილ კენჭაძე, 86კგ – დავით მარსაგიშვილი, 97კგ – ელიზბარ ოდიკაძე, 125კგ – გენო პეტრიაშვილი; ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში – 66კგ – შმაგი ბოლქვაძე, 75კგ – ზურაბ დათუნაშვილი, 85კგ – რობერტ კობლიაშვილი.**

ლევან ძნელაძე

◎ სექსუალური ჯანმრთელობა

წარმატებულთა ჰორმონი

თავიანთ ვაჟკაცურ შემართებას, აღნაგობასა და ღონეს (როგორც ფიზიკურს, ასევე სექსუალურს) მამაკაცები ტესტოსტერონს უნდა უმადლოდნენ. გარდა ამისა, ეს ჰორმონი ბევრს წარმატებულ საქმიანობაშიც ეხმარება, რადგან დასახული მიზნების მიღწევაში ხელშემწყობ ჯანსაღ აგრესიულობასაც სძენს.

ყველაფერთან ერთად ტესტოსტერონი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის მომატების რისკს, მაშასადამე, გულს იშემიური დაავადებისგან იცავს, რომელიც ჩვენში მამაკაცებში სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. სამწუხაროდ, 35 წლის მიღწევის შემდეგ აქ მნიშვნელოვანი ჰორმონის შემცველობა ორგანიზმში წელიწადში, სულ მცირე, ერთი პროცენტით მცირდება.

ამ პროცესის შესანელებლად, მედიკოსები მამაკაცებს შემდეგი წესების მიყოლას ურჩევენ:

- **აკონტროლეთ წონა.** ცხიმოვან უჯრედებში ტესტოსტერონი ქალურ სასქესო ჰორმონად — ესტროგენად გადაიქცევა. ამის შემდეგ კი ზოგ მამაკაცს არა მარტო „ქალური“ ტანი უხდება, არამედ მეორე ზომის მკერდიც კი უჩნდება.
- **იძინეთ არანაკლებ 8 საათისა.** თუკი ახალგაზრდა მამაკაცს ძილი ქრონიკულად აკლდება, ტესტოსტერონის დონე მას შეუძლია 40 პროცენტით შეუმცირდეს, ანუ 80 წლის ასაკის ღრმად მოხუცისას მიაღწიოს.
- **ნუ მოსწევთ თამბაქოს, ნუ მიეძალებით ალკოჰოლს, თავი აარიდეთ ნარკოტიკებს.** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი „მავნე რამ“ ტესტოსტერონის დონეს ამცირებს.
- **გაირუჯეთ.** მზე ხელს უწყობს D ვიტამინის გამომუშავებას, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მამაკაცური ჰორმონების დონის ამაღლებას. მაგრამ გახსოვდეთ, რომ მზეზე ყოფნის უსაფრთხო საათებია 11 საათამდე და 16-ის შემდეგ.
- **ივარჯიშეთ.** ოღონდ თავს ნუ გადაიტვირთავთ, თანაც ვარჯიში რეგულარული უნდა იყოს. ტესტოსტერონის დონის ამაღლებას განსაკუთრებით ხელს უწყობს სიმძიმეებით ვარჯიში.
- **თავი მოარიდეთ ნერვიულობას.** სტრესი ამაღლებს კორტიზოლის დონეს, რომელიც თრგუნავს ტესტოსტერონის გამომუშავებას.
- **გქონდეთ რეგულარული სქესობრივი ურთიერთობები.** თავი მოარიდეთ დიდი ხნის მანძილზე სექსისგან თავის შეკავებას, ვინაიდან ამის გამო ტესტოსტერონის დონე მნიშვნელოვნად იკლებს.

ინფორმაცია თემაში

გამოკვლევებით დადგინდა, რომ სექსუალურად უწვრთნელ ახალგაზრდა, კომპიუტერთან მჯდომ მამებს ტესტოსტერონის დონე დაახლოებით 30 პროცენტით უმცირდებათ ... როგორც ჩანს, ბუნება ასე საგანგებოდ „მოიქცა“, რათა მამიკოებს „გვერდზე გახედვა“ არ მოუნდეთ და თავიანთი მეუღლეებისა და პირმშოების მიმართ უფრო მეტად მზრუნველნი და ალერსიანები იყვნენ.

ბინები ეკომიგრანტებისთვის

ხელვაჩაურის „სოციალურ სახლში“ 50 ოჯახზე საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემის პროცედურები დაიწყო.

გუშინ ბინების განაწილება კენჭისყრის წესით აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განხორციელდა, რის შემდეგაც შესაბამისი ბრძანების პროექტი მომზადდება და იურიდიული პროცედურების დასრულების შემდეგ, კომისიის მიერ შერჩეულ ეკომიგრანტ ოჯახებთან, საკუთრების ინდივიდუალური ხელშეკრულებები გაფორმდება.

„სოციალური სახლის“ მშენებლობა ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2 მილიონ 200 ათასი ლარით დაფინანსდა.

ეკომიგრანტი ოჯახების განცხადებების მიღება მიმდინარე წლის 14 აპრილს დაიწყო და 20 მაისამდე გაგრძელდა. ბენეფიციართა განცხადებები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულმა შესაბამისმა სამთავრობო კომისიამ შეისწავლა.

შემოსული დოკუმენტაციიდან კომისიამ ხელვაჩაურში მცხოვრები 50 ეკომიგრანტი ოჯახის ბინებით უზრუნველყოფის რეკომენდაცია გასცა.

50-ბინიანი სოციალური სახლი შ.შ.მ. პირებისთვის ადაპტირებულია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ კაპრეშუმში, ორი 5-სართულიანი „სოციალური სახლის“ მშენებლობა 2014 წელს დაიწყო და წელს დასრულდა.

ყაზახეთისთვის წლის საუკეთესო მიმართულება საქართველოა

ავიაკომპანია SCAT ფრენების სტატისტიკას აქვეყნებს, საიდანაც ირკვევა, რომ ყაზახეთისთვის საქართველოს წლის ერთ-ერთი საუკეთესო მიმართულებაა. საქართველოს საკურორტო ქალაქ ბათუმსა და ყაზახურ აქტაუს შორის ფრენების დაწყებამ მგზავრთნაკადის რეკორდული ზრდა განაპირობა. შესაბამისად საშუალო დატვირთულობის კოეფიციენტი 85%-ია.

რაც შეეხება რეისს აქტაუ-თბილისი, ის 18 წელია, რაც სრულდება და 2016 წლის ექვსი თვის მაჩვენებლებით მგზავრთნაკადი 12%-ითაა გაზრდილი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ფრენები პოპულარულ მიმართულებაზე აქტაუ-ბათუმი.

მზარდი მოთხოვნის გამო, ავიაკომპანიამ გადაწყვიტა სპეციალური აქცია დაიწყოს, რათა ზამთრის სეზონზე საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე ტურისტების ჩამოყვანა უზრუნველყოს.

აქციის არსი კი არის ის, რომ მგზავრს, რომელიც ნებისმერ მიმართულებაზე იყიდის ბილეთს, შესაძლებლობა ეძლევა მოიგოს საგზური Weekend-ი თბილისში თავისი კულტურული პროგრამით.

ავიაკომპანია SCAT-ი წლის ბოლომდე საქართველოს მიმართულებით რეისებზე 25 ათასი მგზავრის გადაყვანას პროგნოზირებს.

დაუვიწყარი

კაცი

დავით (ჯემალ) გაგუნაშვილის ხსოვნას

სტუდენტობის წლები ერთად განვლეთ, „გპი“-ში სამშენებლო ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები ვიყავით, შენ — სამშენებლოსი, მე — არქიტექტურის. ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, საერთო ლექციებიც გვქონდა. გამორჩეული იყავი სწავლით, საზოგადოებრივი საქმიანობით, მეგობრობის ნიჭით. შემდგომ, ჩვენი პროფესიული საქმიანობა მშენებლობა და არქიტექტურა ხომ განუყოფელი იყო. მაგრამ, ჩემო ჯემალ, თურმე წინ დიდი და სასიხარულო მოულოდნელობა გველოდა, ჩვენი შვილიშვილები დაქორწინდნენ, გავხდით ბაბუა-მძახლები, მოგვიანებით „დიდი ბაბუები“. შეიკრა ბაბუა-მძახლების წრე — ავთანდილ საყვარელიძე, შენ და მე. დავრჩით მე და ავთანდილი... ძალიან, ძალიან გვაკლიხარ. ღმერთმა კეთილი, კეთილშობილი, მოსიყვარულე ადამიანს შეგახვედრა, ქალბატონ ნანას, სიყვარულითა და თანხმობით განვლეთ მთელი ცხოვრება, მის გარეშე ერთი წელიც ვერ გაძელი. ახლა ერთად ვიხდით შენს ორმოცს და ნანას წლისთავს.

ჩემო ჯემალ, შენ იყავი კაცი, რომელსაც ერთი დღეც არ ჰქონია დაძაბული შრომის გარეშე, გიყვარდა პროფესია, გიყვარდა სამშობლო. იღვწოდი მისი უკეთესი მერმისისთვის. იყავი პეწიანი, მუდამ მოწესრიგებული, გარეგნულად მშვიდი.

სხვანაირი, გულითადი, კაცური მეგობრობა იცოდი, ამიტომაც დიდი სამეგობრო გყავდა.

ზღვა ხალხი მოვიდა ეკლესიაში შენთან გამოსამშვიდობებლად, კიდევ ერთხელ გააკეთე კეთილი საქმე, დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ახლობლები შეახვედრე ერთმანეთს.

ჩემო ჯემალ, შენ ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნი, რომლის სიცოცხლე მისი გარდაცვალებით არ მთავრდება. შენ სამარადისო სიცოცხლეს იწყებ.

ვახტანგ დავითაია

სანთელი

მშვიდობით, თანამოკალმევ!

ღირსეული ქალბატონი დააკლდა უფროსი თაობის ქუთაისელ ჟურნალისტთა ოჯახს. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გაზეთ „ქუთაისის“ ღვაწლმოსილი თანამშრომელი, სიკეთითა და უბრალოებით გამორჩეული ქალბატონი

ნუნუ მაჩალაძე.

საოცრად უყვარდა ქუთაისი და გაზეთი, რომელიც მისი მშობლიური ქალაქის სახელს ატარებდა. მათ გარეშე ქვეყანაზე მისთვის არაფერი არსებობდა და მჯერა, სიცოცხლე იმანაც მოუსწრაფა, რომ უკვე კარგა ხანია, რაც საქართველოს ეს ღონიერი და წონიანი გაზეთი აღარ გამოდის.

ნუნუსთან ერთად „ქუთაისში“ 12 წელიწადი გავატარე და მისი უაღრესად საინტერესო ბევრი სტატია ჩემს თვალწინ დაიბადა. მათ შორის განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჟურნალისტური გამოძიების შედეგად შექმნილი ნარკვევი 12 წლის თენგიზ შანიძეზე — ძირძველი ქუთაისელის, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის, შემდგომში კი მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორის აკაკი შანიძის ერთადერთ შვილზე, რომელიც 9 აპრილამდე 33 წლით ადრე —1956 წლის 9 მარტს სნაიპერმა კავშირგაბმულობის სახლიდან ნასროლი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრა.

როგორც ყოველთვის, ამ ნარკვევშიც თითოეული სიტყვა უზუსტესად ჰქონდა აწონილ-დაწონილი და დასაბუთებული.

დღეს ზეციურ საქართველოში, თავის უფროს კოლეგებთან მიემგზავრება ჩვენი უღალატო და პირნათელი მეგობარი.

მშვიდობით, ჩვენო ღირსეულო თანამოკალმევ!

ალექსანდრე შენგელია,
გაზეთ „ქუთაისის“
ყოფილი რედაქტორი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34; 599 797679

გილოცავთ!

სნევიკო დალაძიშვილ-თევზაძის ოჯახის წევრები, **რევაზი, ზაზა** და **ნიკო თევზაძეები** ოჯახებით უღრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს — 80 წლის იუბილეს — ჭეშმარიტ აფხაზური ოჯახის დედა-ბოძს, დამსახურებულ გინეკოლოგს, მეგობრებისა და ახლობლების დიდ ქომაგს, უკეთილშობილეს პიროვნებას, ქალბატონ

ზიზი ანთელავა-ბერულავას

უსურვებენ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს მისი შესანიშნავი ქმარ-შვილის საკეთილდღეოდ.

ალექსანდრე ქართველის ღვაწლს ამერიკაში გაიხსენებენ

14 ნოემბერს აშშ-ში საქართველოს საელჩო ქართული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი ავია-კონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველისადმი (ქართველიშვილი) მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლებს.

ღონისძიება ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიაში გამორჩეული ქართველების შესახებ აშშ-ში ცნობადობის ამაღლებასა და ქვეყნებს შორის პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავებას ისახავს მიზნად.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართავენ და ამერიკის ავიაციის განვითარებაში ალექსანდრე ქართველის ღვაწლზე ისაუბრებენ საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული გიორგი ციკოლია, ალექსანდრე ქართველის ასოციაციის თავმჯდომარე რიჩარდ რუბინი და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი და აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი.

საღამოზე მოწვეულ სტუმრებს საელჩო წარუდგენს ორ დოკუმენტურ ფილმს: ალექსანდრე ქართველის ასოციაციის მიერ მომზადებულ „ალექსანდრე ქართველი და მისი ცხოვრება“ და რამაზ ბლუაშვილის გადაღებულ ფილმს „სიმღერა“.

აღნიშნული ღონისძიება ალექსანდრე ქართველის ასოციაციასთან პარტნიორობით ტარდება.

◎ ანეკდოტები

ცოლი: — ჩემო კარგო, ჩემო საყვარელო... ისე მომენატრა ის რომანტიკული ურთიერთობები... უწინ რომ გვქონდა... არ გინდა, ისევ პაემანზე რომ დამპატიჟო?

ქმარი: — ჰო, კაი... როგორ არ მინდა... იცი, რა ვქნათ? 22 საათზე სამზარეულოში გამოდი, ერთად ჩაი დავლიოთ, ტელევიზორს ვუყუროთ!..

* * *

— **დედა,** დღეს ჩემმა ცოლმა ისევ გამომლანძღა! ამის ატანა აღარ შემიძლია, ამიტომ შენთან უნდა გადმოვიდე საცხოვრებლად!

— არავითარ შემთხვევაში, შვილო! შენმა ცოლმა სრულად უნდა ზღოს თავისი დანაშაული, ამიტომ ხვალიდან მე გადმოვდივარ თქვენთან საცხოვრებლად!

* * *

ბუნებრივია, რომ ალკოჰოლი — ეს პასუხი არ არის, სამაგიეროდ მას რომ სვამ, ყველა კითხვა ერთიანად გავიწყდება.

* * *

სასარგებლო რჩევები:

ზეთის მწვანე საღებავი თქვენ თეთრ ქურთუკზე ნაკლებად შესამჩნევი იქნება, თუკი მას აღარასდროს აღარ ჩაიცვამთ.

* * *

თუკი ქალაქის ტელეფონის აპარატს კარის საკეტს შეუერთებთ, მაშინ კარის სათვალთვალოში გახედვისას კარგად შეძლებთ იმის დანახვას, თუ ვინ გირეკავთ ხოლმე ტელეფონზე შუაღამისას და ხმას არ იღებს.

* * *

ჩვენში მოთმინების ფიალა ყანწებით და ლიტრებით იზომება.

◎ ცხოვრების წესი

მავნე ჩვევათა ტყვეობაში

სამწუხაროა, მაგრამ მავნე ჩვევათა ჩამონათვალი თამბაქოს მოწევითა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით არ შემოიფარგლება. ამიტომაცაა, რომ მედიკოსები კიდევ რამდენიმე, თვალის ერთი გადავლებით, საკმაოდ უწყინარი, თუმცა კი მაინც ზიანის მომტანი ჩვევის გადაგდებას გვირჩევენ.

ფრჩხილების კვნეტა

დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედი თურმე ფრჩხილებს გამუდმებით იკვნეტს. მაინც, რატომ აკეთებენ ადამიანები ამას? მრავალი მკვლევარის აზრით, ამის მოთხოვნილება სტრესების ან შინაგანი განცდების დროს წარმოიშვება. ბევრნი ფრჩხილებს მხოლოდ ოფისებში იკვნეტენ, რის მიზეზი ისაა, რომ თავიანთი საქმე აღიზიანებთ. **სხვები ფრჩხილების კვნეტას თამბაქოს მოწევისთვის თავის დანებების შემდეგ იწყებენ, ზოგიერთნი კი ამას მოწყენილობის გამო აკეთებენ.**

რა საფრთხე ემუქრებათ ამ „მღრღნელებს“? ერთი, რომ ისინი ფრჩხილებთან მგრძნობიარე კანს აზიანებენ, რის შედეგად მტკივნეული ნუნები ჩნდება. მეორეც ის, რომ ფჩხილების ქვეშ უამრავი, მათ შორის სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმი ბუდობს. მესამე საფრთხე კი ისაა, რომ ფრჩხილების კვნეტის დროს ზიანდება კბილების მინანქარი.

ტელევიზორთან ჭამა

მკვლევარებმა შეისწავლეს ტელევიზორის ზეგავლენა დანაყრების გრძნობაზე, რომელიც ადრე თუ გვიან ნებისმიერი საკვების მიღებისას დგება. მაგრამ, როცა სუფრაზე ახალი კერძი ჩნდება, სავსებით შესაძლებელია, რომ კაცმა ჭამა განაგრძოს. იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ, თურმე, ტელევიზორიც ამ ახალი კერძივით მოქმედებს, რადგან მისი ცქერისას ჩვენ ყურადღება ეკრანზე გადაგვაქვს და საჭმლის გემოს ვეღარ აღვიქვამთ. მკვლევარებმა გამოითვალეს, რომ ისინი, ვინც საკვების მიღებისას გამუდმებით ტელევიზორს უცქერს, საშუალოდ, 20 წუთის მეტ ხნის მანძილზე ჭამენ, თანაც სხვებთან შედარებით, დაახლოებით 500 კილოკალორიით მეტს მოიხმარენ.

თითების ტკაცუნი

როცა თითებს ვიწელავთ, **სახსრებს შორის მოთავსებულ სითხეში წნევა ეცემა, რა დროსაც გაზი წარმოიქმნება, რომლის ბუშტულები გახეთქვისას დამახასიათებელ ტკაცუნს გამოსცემენ.** ასეთი „ვარჯიში“ დროდადრო სტატისტიკური დაძაბულობის მოხსნის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა კი პერსპექტივაში მას, შესაძლოა, ტრავმები და სახსრების სხვა დაავადებები მოჰყვეს.

შუაღამის შემდეგ დაძინება

მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ „ბუები“ „ტოროლებზე“ ნაკლებს ცხოვრობენ, მათ უფრო ხშირად სჭირთ შაქრიანი დიაბეტი, გულის სისხლ-ძარღვთა დაავადებები, კარგად არ **სძინავთ.** საქმე კი ისაა, რომ რაც უფრო ხანგრძლივია შუაღამემდე ძილი, მით უფრო მეტ ჰორმონ მელატონინს გამოიმუშავებს ორგანიზმი, რომელიც არა მარტო ხელს უწყობს ძალების აღდგენას, არამედ ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას, აუმჯობესებს იმუნური სისტემის მოქმედებასა და ხელს უწყობს ავთვისებიან სიმსივნეთა პროფილაქტიკას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4462; ევრო - 2.7031;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0370;
100 რუბლი - 3.8374; თურქული ლირა - 0.7711;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4402;
1000 სომხური დრამი - 5.0915.

ამინდი 10 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +21
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +17
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +25
თბილისი: ღამე +7, დღე +18

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE